ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 12 აპრილი, 2022 №72 (8850) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

ტაქსის მძღოლმა ლატვიის მოქალაქე გაიტაცა

პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

8 პირია დაკავებული

გვ.5

„პოლიტიკურ ბომბზე ვსხედვართ“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთთან დადგომა საქართველოს სრულ სწრაფ დანგრევას ნიშნავს“

„რუსებს ნეიტრალიტეტის შემოტანით უნდათ, თვითონ თავს გვესხმოდნენ, ჩვენი დამცველი კი არავინ იყოს“

„ხელისუფლების ბუჩაში არ ჩასვლა, ფაქტობრივად, ახლობლის პანაშვიდზე არ მისვლაა!“

გვ.2

პაატა დავითაია: „ომი არც 9 მაისს დასრულდება და არც 9 ივნისს. სამწუხაროდ, ჩვენ შუაგულ ევროპაში მივიღეთ მეორე ავღანეთი“

„უკრაინის გარკვეული ქმედებები საქართველოს მიმართ ნამდვილად არასწორი იყო. დაზვერვის განცხადებები და მტკიცებულების გარეშე საუბარი, არასწორია. მოდით, ვთქვათ სიმართლე, დრომ ხომ აჩვენა, რომ ეს ტყუილი იყო“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ არ აპირებდა, ევროკავშირის წევრობის განაცხადი გაეკეთებინა. 2024 წელს გვაქვს გადაწყვეტილიო, ომახიანად გამოგვიცხადა კობახიძემ“

„ქართულ ოცნებას“ არც ევროკავშირი უნდა და არც დემოკრატიული მმართველობა“

„საწვავის გაიაფება 15-20 თეთრით შესაძლებელია“

ნიკა შენგელია: „შავი ხვრელების გაჩენა უკვე დაწყებულია... ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს“

გვ.3

„არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება საქართველოში“

გვ.2

ბორის ჯონსონმა ირაკლი ღარიბაშვილს წერილი მისწერა

2 სალომე სამადაშვილი: „ევროკავშირმა უნდა შექმნას შესაბამისი ფორმატები ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობისთვის“

4 ირაკლი ღარიბაშვილი: „ექიმი ვალდებული იქნება, წამალი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს“

5 გორში 2004 წელს გაუჩინარებული მოზარდის ცხედარი იპოვეს

5 მ.გ.-მ ბრიტანეთის მოქალაქეს 34.000 ლარი ჩაარიცხვინა

1993230720223

„ხელისუფლების ბუჩაში არ ჩასვლა, ფაქტობრივად, ახლობლის პანაშვიდზე არ მისვლაა!“

პაატა დავითაია: „ომი არც 9 მაისს დასრულდება და არც 9 ივნისს. სამწუხაროდ, ჩვენ შუაგულ ევროპაში მივიღეთ მეორე ავღანეთი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? უკრაინაში მსოფლიო ლიდერების ვიზიტები დაიწყო. ბორის ჯონსონის და ზელენსკის შეხვედრის კადრებმა მსოფლიო მოიარა. ამ ფონზე ჩვენი ხელისუფლება კვლავ უარზეა, რომ უკრაინაში ჩავიდეს. პარლამენტის თავმჯდომარემ ავადმყოფობა მოიმიზეზა. რას იტყვით თქვენ ხელისუფლების პოზიციაზე?

– მთელი მსოფლიო უჭერს მხარს უკრაინას და ღიად აფიქსირებს პოზიციას. ეს მხარდაჭერა კი აუცილებლად მოიტანს შედეგებს. რაც შეეხება ქმედებებს, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებით კი პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან, სიმართლე გითხრათ, ძალიან გაკვირვებული ვარ. თუ ვიღაცა ფიქრობს, რომ არ გაღიზიანების თემაა რუსეთის და ამის გამო იმალება, თუ არ ჩადის, მაშინ ალოგიკურია მათი ქმედება, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი გაეროდან რუსეთის გარიცხვას...

– სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვები, საერთაშორისო დონეზე თუ უჭერენ მხარს უკრაინას და რუსეთის წინააღმდეგ აძლევენ ხმას, ქვეყნის შიგნით რა ჭირთ?

– დიახ, მეც ამ კითხვას ვსვამ. 39 ქვეყანას შორის იყო საქართველო, ვინც ჰააგაში გამოძიება მოითხოვა რუსეთის წინააღმდეგ, ევროპის საბჭო, ეუთო, რა ვიცი, ასამბლეა, ყველგან რუსეთის წინააღმდეგ მისცეს ხმა და ეს არ ჩასვლა პარლამენტის თავმჯდომარის, არ ვიცი, საერთოდ რაში ჯდება. მიჩნდება კითხვები, ამ ხალხს არ ესმის რაღაც თუ რა ჭირთ? არ ვიცი, პასუხსაც ვერ ვუძებნი მათ საქციელს. ბუჩაში არ ჩასვლა, ფაქტიურად, ახლობლის პანაშვიდზე არ მისვლაა! იმ ფონზე, რაც იქ მოხდა, ამდენი მიცვალებული და ნაწამები ადამიანი. დავანებოთ თავი მოწვევას, არ მოწვევას. ხალხია მკვდარი! იმის გამო, რომ ჩახვიდე, დააფიქსირო შენი პოზიცია, გულისტკივილი, თუ როგორი ეთნიკური წმენდა მოხდა, ამას არ სჭირდება არც პარლამენტის თავმჯდომარეობა, არც პარტიის თავმჯდომარეობა, არაფერი არ სჭირდება. ამას სჭირდება ადამიანობა და თანადგომა!

– და არა თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომ ავად ხარ.

– რა თქმა უნდა. ვერ გავიგე მათი პოზიცია. მიჭირს, ლოგიკას გავყვე. უმეტესად ჩვენი ხელისუფლება არალოგიკურია თავის ქმედებებში. თუ რუსები არ უნდათ, რომ გააღიზიანონ, ამაზე მეტი გაღიზიანება რა გინდა, გაეროდან გარიცხე, გამოძიება მოითხოვე, რა ხდება, არ ვიცი. რუსეთს ეს უფრო გააღიზიანებს, ვიდრე შენი იქ ჩასვლა!

– ოპოზიცია გეგმავს ჩასვლას, ეს სწორი ნაბიჯი იქნება?

– რა თქმა უნდა, სწორი ნაბიჯი იქნება. აქ არავინ საუბრობს იმაზე, ოპოზიცია ხარ თუ პოზიცია. სწორი ნაბიჯი ის არის, რომ თანაგრძნობა გამოხატო. დღეს გამოქვეყნდა უკრაინის ფოსტის მუშაობის შედეგები და თავად ფოსტამ განაცხადა, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც უკრაინას ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს, პირველი არის საქართველო! არც მეორე და არც მესამე! პირველია! ამდენ ჰუმანიტარულ დახმარებას აგზავნი, საერთაშორისო დონეზე მხარს უჭერ და ამ ადამიანურ ფაქტორს რატომ არ ითვალისწინებ?! ოპოზიცია ხარ, პოზიცია ხარ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანური ფაქტორი, ადამიანური ფაქტორია. მივესალმები იმ ფაქტს, თუკი ოპოზიცია ჩავა უკრაინაში.

– პრემიერის ამ პოზიციას რით ხსნით? შეშინებულია თუ ბიძინა ივანიშვილის მითითებებს ასრულებს მისი გავლენის და წნეხის ქვეშაა და სხვა გზა არა აქვს?

– თუ ივანიშვილის მითითებებია, მაშინ

„უკრაინის გარკვეული ქმედებები საქართველოს მიმართ ნამდვილად არასწორი იყო. დაზვერვის განცხადებები და მტკიცებულების გარეშე საუბარი, არასწორია. მოდით, ვთქვათ სიმართლე, დრომ ხომ აჩვენა, რომ ეს ტყუილი იყო“

რუსეთის გაეროდან გარიცხვას რატომ დაუჭირეს მხარი? რუსეთი ხომ ამით უფრო დაზიანდა, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარე ჩავა თუ არ ჩავა ბუჩაში.

პაპუაშვილის ჩასვლა-არ ჩასვლა, რუსეთს დიდად არ ადარდებს, მოდით, ვთქვათ სიმართლე! მაგრამ გაეროდან გარიცხვა, ადარდებს. გამოძიების დაწყება, ადარდებს. აქ ვიყავით საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდით და ისე რა ემართებათ, ვერ ვხსნი.

– პრეზიდენტზე რას იტყვით? ახლა კეთდება მოწოდებები, რომ პრეზიდენტი მაინც ჩავიდეს კიევშიო. უნდა ჩავიდეს?

– რა გითხრათ, ჩვენი პრეზიდენტი როგორც თავისუფალი მხატვარი, ისე იქცევა. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩავა. მისი ლოგიკის გაგებაც ძალიან ძნელია. ადამიანი, რომელიც იძახოდა, რომ საქართველომ დაიწყო ომიო, ახლა პირველი დამცველია. რა გითხრათ, აბა?! ჩემი განმარტება პრეზიდენტზე არის – თავისუფალი მხატვარი. ხვალ რას იტყვის, არ ვიცი.

– როდესაც თქვენ საუბრობთ, რომ გაუგებარი პოზიცია აქვს ხელისუფლებას, არ გამოხატავს ადამიანურ თანადგომას. ეს უფრო პირადი წყენა ხომ არ არის? გაბუტულია ჩვენი ხელისუფლება უკრაინის ხელისუფლებაზე? როდესაც ასე გამუდმებით ამუნათებენ ჩვენს ხელისუფლებას უკრაინიდან, ისმის ცილისმწამებლური განცხადებები, ამის პასუხი ხომ არ არის ეს ყოველივე?

– შეიძლება ასეც იყოს. გეთანხმებით, უკრაინის გარკვეული ქმედებები ნამდვილად არასწორი იყო. დაზვერვის განცხადებები და მტკიცებულების გარეშე საუბარი, არასწორია. მოდით, ვთქვათ სიმართლე, დრომ ხომ აჩვენა, რომ ეს ტყუილი იყო. ამიტომ მესმის, ნაწყენი შეიძლება იყოს ხელისუფლება, მაგრამ სხვა ვითარებაა, 24 თებერვლის შემდეგ, მსოფლიო შეიცვალა. პიროვნული წყენის გატანა სახელმწიფოებრივ დონეზე არ შეიძლება, ეს უკვე შეცდომაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველანაირი წყენა დავიწყებული უნდა იყოს და უნდა იმოქმედონ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე!

– ჩვენ რა საფრთხე გვემუქრება რუსეთის მხრიდან? აფხაზებს და ოსებს გამოიყენებს რუსეთი ჩვენ წინააღმდეგო. ელოდებით ამას?

– არ გამოვრიცხავ. რა, აფხაზები და ოსები ჯერ არ გამოუყენებია ჩვენ წინააღმდეგ?! ყოველთვის იყენებდა. რაც ჩვენ დამოუკიდებლობისკენ წავედით 90-იანი წლებიდან და გამოვაცხადეთ სუვერენიტეტი, სულ ეს სეპარატისტები ქმნიან ჩვენთან პრობლემას. ხვალ რას გააკეთებენ, კაცმა არ იცის. რომ ადგნენ ოსები და თბილისი-სენაკის მაგისტრალზე „პულიმიოტი“ გამოისროლონ, შეწყდება მიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. შეწყდება ტვირთების გადაზიდვა და გაჩერდება ყველაფერი. რომ მოინდომონ, ვერ გააკეთებენ თუ რა. მთავარია, არ მოინდომონ. ამიტომ ჩვენ სულ მზად უნდა ვიყოთ.

– ანუ რუსეთის მხრიდან დღეს საფრთხე გვემუქრება?

– დიახ, გვემუქრება. მე ამას ვამბობ ყოველთვის. რუსეთი არის იმპერია, რომელიც ასე მოქმედებს. რუსეთი არის ქვეყანა, რომლის ამოცანა არის მიწების შეერთება. რასაც ის აკეთებს უკრაინაში, ეს არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. სპობს ინფრასტრუქტურას, სპობს მოსახლეობას! იმიტომ, რომ უნდათ მარტო მიწები. რათ უნდათ ამდენი მიწები, არ ვიცი.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით უკრაინაში? ბევრი საუბრობს იმაზე, რომ 9 მაისისთვის დასრულდება ყველაფერიო. თქვენ რას იტყვით?

– სამწუხაროდ, არ დასრულდება. არც 9 მაისს დასრულდება და არც 9 ივნისს. ეს არის დიდი ხნის ამბავი. სამწუხაროდ, ჩვენ შუაგულ ევროპაში მივიღეთ მეორე ავღანეთი. სამწუხაროდ, ასეა. ეს იქნება ძალიან დიდი ხნის თემა და დიდი ხნის ბრძოლები ამ მიმართულებით. ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამდენ ხანს ვეღარ დაიმალება. ერთი თვე დაიმალო, ჰაა, ორი, მეტი ვერ დაიმალები, ისე მიდის ვითარება. მოუწევთ პოზიციის ღიად დაფიქსირება.

სალომე სამადაშვილი: „ევროკავშირმა უნდა შექმნას შესაბამისი ფორმატები ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობისთვის“

– ვაპირებ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის წევრებთან შეხვედრაზე დავაყენო აუცილებლობა, რომ ევროკავშირმა შექმნას შესაბამისი ფორმატები ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობის, რათა საქართველო არ იქნას გამოყენებულო „შავ ხვრელად“.

ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო პარტნიორებს ამ საკითხში საქართველოს მიმართ სრული ნდობა ჰქონდეს.

– მთავარი თემა, რაც გვექნება მათთან განხილვისთვის, ეს არის ის გამოწვევები, რომელთა წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. გარდა ამისა, მე ვაპირებ კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე დღის წესრიგში დავაყენო იმის აუცილებლობა, რომ ევროკავშირმა შექმნას შესაბამისი ფორმატები ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობის, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ ის, საქართველოში არ მოხდეს სანქციებისთვის თავის არიდება და ჩვენი ქვეყანა არ იქნას გამოყენებული „შავ ხვრელად“, საიდანაც მოხდება რუსეთისთვის დაკისრებული სანქციებისთვის თავის არიდება.

ეს არის სწორედ იმ ქვეკომიტეტის კომპეტენცია, რომელიც ეწვია საქართველოს. ამიტომ ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, მათთან ამ თემაზე გვქონდეს საფუძვლიანი და საქმიანი მსჯელობა, – განაცხადა სამადაშვილმა.

ცნობისათვის, ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის დელეგაცია საპარლამენტო ოპოზიციას შეხვდა.

მათ უკვე გამართეს შეხვედრა ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვის კომიტეტის წევრებთან.

„არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება საქართველოში“

– ჩვენ გვაქვს ძალიან პოზიტიური მოლოდინი, იმის მიუხედავად, რაც ხდება უკრაინაში – უბედურება, ტრაგედია, ომი; ამიტომ, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა, სტაბილურობა და ხელი შევუწყოთ განვითარებას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოში არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება და ხელისუფლება განაგრძობს სახელმწიფოსა და მოქალაქეების დაცვას.

– არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება საქართველოში, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და გავაგრძელებთ საკუთარი მოქალაქეებისა და სახელმწიფოს დაცვას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბორის ჯონსონმა ირაკლი ღარიბაშვილს წერილი მისწერა

– ბატონო პრემიერ-მინისტრო! ამა წლის 27 აპრილს გაერთიანებული სამეფო და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობის განახლების 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ. მსურს ეს შესაძლებლობა გამოვიყენო და კვლავ დაგიდასტუროთ თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული სამეფო იმ ურთიერთობას, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას შორის არსებობს.

ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის ოფიციალურ წერილშია აღნიშნული, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიიღო.

ბორის ჯონსონის თქმით, ბოლო 30 წლის განმავლობაში, გაერთიანებული სამეფო და საქართველო თანამშრომლობენ მნიშვნელოვანი პარტნიორობის განსავითარებლად.

– აღსანიშნავია ის წინსვლა, რომლის თვითმხილველნიც საქართველოში გავხდით დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. ბოლო 30 წლის განმავლობაში, გაერთიანებული სამეფო და საქართველო თანამშრომლობენ მნიშვნელოვანი პარტნიორობის განსავითარებლად, რაც მრავალ სფეროს მოიცავს და მათ შორისაა პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, უსაფრთხოების, თავდაცვის, განათლებისა და კულტურული მიმართულებები. მახარებს ის, თუ როგორ გაფართოვდა და აყვავდა ის ურთიერთობა, რომლის სიმბოლოდ იქცა უორდროპის სტრატეგიული დიალოგის ყოველწლიური ფორმატი, ისევე, როგორც ჩვენი ორმხრივი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ახალი შეთანხმება. ასევე, ვაფასებთ ჩვენს თანამშრომლობას რეგიონალურ და გლობალურ საკითხებზე, მათ შორის გარემოსდაცვით და კლიმატის ცვლილების მიმართულებით.

კარგად ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ პროვოცირების გარეშე, ვლადიმერ პუტინის მხრიდან წინასწარი განზრახვით განხორციელებული ბარბაროსული თავდასხმა უკრაინაზე კიდევ უფრო ამძაფრებს იმ გამოწვევებს, რომლებსაც საქართველო მრავალი წელია მამაცად უპირისპირდება. გაერთიანებული სამეფო და საერთაშორისო თანამეგობრობა მსოფლიო ერების თავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და სუვერენიტეტისთვის ამ ღია აგრესიის პირისპირ დგანან. მინდა ასევე გარწმუნოთ, რომ მტკიცედ ვდგავართ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ქართველი ხალხის ევრო-ატლანტიკური არჩევანის სადარაჯოზე.

მოუთმენლად ველი მომდევნო წლებში ჩვენი პარტნიორობის უწყვეტ განვითარებას, – აღნიშნავს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ არც ევროკავშირი უნდა და არც დემოკრატიული მმართველობა“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართული ოცნება“ არ აპირებდა, ევროკავშირის წევრობის განაცხადი გაეკეთებინა. 2024 წელს გვაქვს გადაწყვეტილიო, ომახიანად გამოგვიცხადა კობახიძემ“

– ლაშა, „ქართულ ოცნებაში“, როგორც ჩანს, უკრაინაში საპარლამენტო დელეგაციის ჩასვლასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, რაზეც გია ვოლსკიმაც ისაუბრა. როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით ჭიანურდება ჩასვლის გადაწყვეტილება?

– აქამდეც რომ უნდა ჩასულიყო საპარლამენტო დელეგაციაც და სამთავრობო დელეგაციაც, ამაში ორი აზრი არ არსებობს. რა თქმა უნდა, ქართული მხარე ვალდებულია, როგორც საერთო მტერთან მებრძოლ უკრაინაში ჩავიდეს და ადგილზე გამოუცხადოს უკრაინელ ხალხსაც და ხელისუფლებასაც თანაგრძნობა, თანადგომა, მაგრამ როდესაც პრორუსულია შენი ორიენტაცია, მაშინ გიჭირს ამ გადაწყვეტილების მიღება. ეს არის პრობლემა.

რაც შეეხება იმას, რომ „ქართულ ოცნებაში“ აზრი ორად გაიყო, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ დემოკრატიულ პარტიებში, მმართველობებში, ამის არ მჯერა. არ მჯერა, რომ ვინმემ „ქართულ ოცნებაში“ ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებული პოზიცია გამოთქვას. იქნება ისე, როგორც ივანიშვილი გადაწყვეტს.

– საპარლამენტო დელეგაცია ნამდვილად ჩადის უკრაინაში. აქ საუბარია, პარლამენტის თავმჯდომარე ჩავა თუ არა.

– და რატომ არ უნდა ჩავიდეს?!

– „ქართული ოცნება“ არ მალავს – რატომაც არიან განაწყენებულნი. დაუსაბუთებელ ბრალდებაზე ითხოვენ პასუხს. ირაკლი ქადაგიშვილმა მომაკვდინებელი ცოდვა უწოდა უკრაინის თავდაცვის სადაზვერვოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ფიქრობთ, მართლაც სერიოზულ ბრალდებაზე, საფუძვლიანადაც არიან განაწყენებულნი?

– ახლა, ომში მყოფ ხელისუფლებასთან ჯიბრში დგომა არ არის გონივრული. თავიანთი ბრალია, მათივე განცხადებებს დააბრალონ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ეს სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც მიიღეს იმ ფორმით რა ფორმითა მიიღეს და არა ისე, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ კულუარულად. ასე იცის, როდესაც, მთელი ცივილიზებული მსოფლიო რუსეთს დატოვებს, შენ კი დაიმედებ – ჩემი რძითა და ყველით მოგამარაგებო.

სანქციებს სხვა ბევრი ქვეყანაც არ შეერთებია, თუნდაც აზერბაიჯანი, თუნდაც თურქეთი, მაგრამ ზელენსკიმ მათ მადლობა გადაუხადა. ამიტომ, ეს ყველაფერი დააბრალონ თავიანთ ქმედებებსა და იმ განცხადებებს, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით, დაუზარებლად აკეთებენ.

უკრაინის მთელი ხელისუფლება, პრეზიდენტი ზელენსკი ნაციონალებად გამოაცხადეს. ნაციონალები მართავენო. საქართველოში ყველა ნაციონალები ვართ და ეს გასაგებია, მაგრამ უკვე სასაცილოც არ არის უკრაინის ხელისუფლების ნაციონალიზაცია. ნაციონალურ მოძრაობას მათი ცოდვები ეყოფა, დამატება არ არის საჭირო. „ქართულმა ოცნებამ“ არაფერი არ გააკეთა, რომ უკრაინის ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა.

ნორმალური, კეთილგანწყობილი ურთიერთობა თუ უნდოდათ, აქამდე რატომ არ დაურეკა ტელეფონით მაინც ღარიბაშვილმა ზელენსკის?! ან რატომ ვინმე არ ჩავიდა ხელისუფლებიდან?! ან საერთოდ რა ედგა წინ ადეკვატურ განცხადებებს?! რა საჭირო იყო განცხადება, რომ უკრაინის ხელისუფლებამ ომი ვერ აიცილა და მსგავსი დადანაშაულება ომში მყოფი ხელისუფლების?! ან ეს ყველაფერი კეთდებოდა შეგნებულად და დავალებით, ან სხვა ახსნა არა აქვს ამ ყველაფერს. მიზანმიმართულად რატომ უნდა გინდოდეს ურთიერთობის გაფუჭება მეგობარ სახელმწიფოსთან, რომელიც ომშია, გაუგებარია.

ახლა მიღებული გადაწყვეტილება, რომ საპარლამენტო დელეგაცია ჩავიდეს უკრაინაში, არის მხოლოდ ხალხის, საზოგადოების და საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლის შედეგი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ისე, როგორც თავის დროზე რუსთაველზე გამოსულმა ათიათასობით ადამიანმა აიძულა „ქართული ოცნება“, ევროკავშირის წევრობის განაცხადი გაეკეთებინა. თორემ ჩვენ კი ვიცით, როდის აპირებდნენ განაცხადს – 2024 წელს გვაქვს გადაწყვეტილიო – ომახიანად გამოგვიცხადა კობახიძემ, მაგრამ ერთ დღეში მოუწიათ პოზიციის შეცვლა, გადაჭედილი რუსთაველი რომ დაინახეს. ხალხის რისხვის შეეშინდათ.

– ჩემი შემდეგი კითხვა სწორედ ამ საკითხს ეხება: კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებელი თვითშეფასების კითხვარი უკვე გადმოგვეცა. რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად შეასრულებს საშინაო დავალებას ხელისუფლება?

– პირველ რიგში, საშინაო დავალება ანუ ამ კითხვარის შევსება ნიშნავს: სასამართლო სისტემის სრულ, რეალურ რეფორმას და არა მურუსიძის დაწინაურებას. მეორე, ოპოზიციის აქტიურ ჩართულობას მთელ ამ რეფორმის პროცესში. მესამე, ეს ნიშნავს საზოგადოების, ოპოზიციის აზრის არა იგნორირებას, არამედ მასთან მუშაობას. მეოთხე, სამართლიან საარჩევნო სისტემას. ერთი სიტყვით, საშინაო დავალება არის დემოკრატიული მმართველობა. მე კი მჯერა, რომ „ქართულ ოცნებას“ არც ევროკავშირი უნდა და არც დემოკრატიული მმართველობა.

– რატომ?

– ამისთვის მზად არ არიან! რადგან ეს ყველაფერი ნიშნავს, უარი თქვა საკუთარ თავზე! ამ ყველაფრის შესრულება ნიშნავს „ქართული ოცნების“ დამარცხებას არჩევნებში.

„საწვავის გაიაფება 15-20 თეთრით შესაძლებელია“

ნიკა შენგელია: „შავი ხვრელების გაჩენა უკვე დაწყებულია... ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკა შენგელია პასუხობს.

– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ეკონომიკურ საკითხებს? როგორ დაიწყო აპრილის თვე? ვხედავთ, რომ ინფლაცია კვლავ ძალიან მაღალია. ფასები კატასტროფულად მომატებული. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმაც გაუსვა ხაზი, საწვავის ფასი ძალიან მაღალია და დროა შეამციროთო. რას იტყვით ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ისეთი მაღალი ფასებია, რომელიც ჯერ არ გვქონია. ისტორიული მაქსიმუმი ფიქსირდება. განსაკუთრებით კი, საწვავის ფასზე. სამწუხაროდ, ჩვენ ამას ვერ ავცდებოდით, რადგან საწვავის ფასი მთელ მსოფლიოში მაღალია. მთავრობამ არ გადადგა ის ნაბიჯი, რომ აპრილის თვეში, მათი პოლიტიკიდან გამომდინარე, შეერბილებინა ფასები, თუნდაც საწვავზე. შესაბამისად, გვიან გაზაფხულზე და ზაფხულის პერიოდში, გვექნება ძალიან მაღალი ფასები ადგილობრივ პროდუქციაზე. პლუს ამას, მსოფლიოშიც ძალიან გაძვირებულია ფასები პროდუქტებზე, ნედლეულზე, სხვადასხვა სახის პროდუქციაზე და გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა ვართ, შესაბამისად, ფასები გვექნება ძალიან დიდი. მაგალითისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს არსებული ფასები, იგივე კიტრსა და პომიდორზე, ასეთი ფასები არასდროს არ ყოფილა. 6 ლარი ღირს კიტრი და 12 ლარი პომიდორი. ამ პერიოდში მსგავსი ფასი არასდროს არ ყოფილა.

– ეკონომიკური ზრდა იქნება?

– რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, ველოდებით 5-6%-ის ფარგლებში. თუმცა, თუ კიდევ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება ამ ომთან დაკავშირებით და სერიოზული პოლიტიკური კატაკლიზმები, მაშინ ეს პროგნოზი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

– ამ ყველაფრის ფონზე, როგორ ახერხებენ ლარის კურსის შენარჩუნებას? როდესაც ამხელა ეკონომიკური რყევებია, ფასების ასეთი მატება, კურსი ქვემოთ როგორ იწევს?

– იძულებულები არიან, რომ ლარის კურსი ხელოვნურად ჩამოიყვანონ ქვემოთ. ალბათ კიდევ დაბლა ჩამოწევენ, იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მაღალია ფასები და უნდათ, რომ ამ მაღალ ფასებს ასე ებრძოლონ, სხვაგვარად ვერ ებრძვიან. საპროცენტო განაკვეთი მაღალია და ახლა ლარის კურსი უნდა ჩამოწიონ, რომ ეს ძალიან მტკივნეულად არ დააწვეს მოსახლეობას.

– ლარის კურსს წევენ ქვემოთ, მაგრამ ფასები რომ არ იცვლება და, პირიქით, ზევით მიდის?

– ფასი არც შეიცვლება. თუ ლარის კურსი კიდევ მომდევნო ორი კვირის განმავლობაში იქნება იმაზე ოდნავ ნაკლები, ვიდრე დღეს არის, მაშინ შესაძლოა ფასების გაზრდა აღარ მოხდეს. თორემ უკვე გაზრდილი, ნამდვილად არ შემცირდება. ამიტომ ლარის კურსთან დაკავშირებით დიდს არაფერს ველი, თუმცა არ გამოვრიცხავ, შემოდგომაზე ისევ გააკეთონ ხელოვნურად ლარის კურსის სერიოზული მოძრაობა, რომელიც კვლავ დააზიანებს მცირე ბიზნესს და საზოგადოებას, აი სწორედ ისეთი, როგორც ეს გააკეთებს 24 თებერვალს.

– როდესაც პრემიერი გამოდის და საწვავის იმპორტიორებს მიმართავს, დროა ფასებს გადახედოთ და შეამციროთო. ანუ არის ამის შესაძლებლობა? შეუძლიათ იმპორტიორებს ფასის დაკლება საწვავზე?

– რა თქმა უნდა, დღეის მონაცემებით, მინიმუმ 15-20 თეთრით, ეს შესაძლებელია. მათ შეუძლიათ ფასები დაწიონ, მაგრამ ეს არის გარკვეული სინდიკატი და ფასს ინარჩუნებენ. ასე თხოვნა არ ხდება ხოლმე, ხელისუფალი რომ ხარ, შესაბამისი რეგულაცია უნდა დააწესო. რას ნიშნავს თხოვნა? თხოვნით რომელი ბიზნესმენი შეიმცირებს მოგებას? არც არავინ.

– კი, იმპორტიორებმა უნდა დაწიონ ფასი, მაგრამ ხელისუფლებასაც ხომ შეეძლო აქციზის გადასახადის გაუქმებით და დღგ-ს განახევრებით სერიოზულად შეემცირებინა ფასი საწვავზე?

– რა თქმა უნდა, შეუძლია, მაგრამ მთავრობამ ეს ნაბიჯი არ გადადგა. მეტსაც გეტყვით, მთავრობა რატომ არ ინტერესდება, როგორი არის საწვავზე ფასის წარმონაქმნი საქართველოს საზღვრამდე?! ჩვენ ვსწავლობთ ამ საკითხს და რამდენიმე დღეში დავწერთ ამაზე განცხადებას. ჩვენ საქმე გვაქვს აურაცხელ ნავთობთან, აურაცხელ საწვავთან და საქმე გვაქვს მწარმოებელს და იმპორტიორს შორის შეთანხმებასთან. ამით მაინც დაინტერესდეს ჩვენი ხელისუფლება, რადგან შეინიშნება იმპორტიორების მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

– რა მოლოდინი გაქვთ, როგორი იქნება აპრილის თვე?

– აპრილის თვეში კვლავაც შენარჩუნდება მაღალი ფასები, ასევე, ინფლაცია გვექნება მაღალი. რაც შეეხება საწვავის ფასებს, შესაძლოა, აპრილის ბოლოს 10-15 თეთრით გაიაფდეს საწვავი.

– ბატონო ნიკა, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობენ რუსული ბიზნესების საქართველოში დარეგისტრირებაზე. ამით რამდენად სერიოზული საფრთხე გვექმნება და რამდენად ჩნდება შავი ხვრელები?

– შავი ხვრელების გაჩენა უკვე დაწყებულია. როდესაც ვსაუბრობ ეკონომიკის 5-6%-იან ზრდაზე, სწორედ ამის ხარჯზე იქნება ეს ზრდა. ასევე ფასები გაიზრდება, გაძვირდება ყველაფერი და ეს ზრდაც სწორედ ამის ხარჯზე იქნება. რაც შეეხება შავ ხვრელებს, ამაზე სერიოზული ყურადღებაა მისაქცევი. ის კომპანიები, რომელიც აქ დარეგისტრირდა და ბევრი მათგანი დარეგისტრირდა ქართველების სახელით, სწორედ რუსული პროდუქციის გადაფუთვას და უცხოეთში გაგზავნას მოემსახურება. აი ამაზეა საუბარი. დარწმუნებული ვარ, არც ერთი ბიზნესმენი ამაზე უარს არ იტყვის, თუკი ამით დამატებით შემოსავლის წყარო გაუჩნდება.

– ამ ყველაფრიდან გამომდინარე დასავლეთის მხრიდან სანქციების ქვეშ ხომ არ აღმოვჩნდებით?

– თუკი ისეთ პროდუქციაზე იქნება შავი ხვრელი, რაც სანქცირებულია და ეს გამჟღავნდება, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ სანქციები ჩვენც დაგვიწესონ.

„ძვირფასო საწვავის იმპორტიორებო, მაქვს მოლოდინი, რომ რაც შეიძლება მალე მოახდენთ საწვავის ფასების კორექტირებას“

მსოფლიო ბაზარზე 95 დოლარზეა ჩამოსული ნავთობის ფასი, ლარიც გამყარებულია დოლართან მიმართებაში, ამიტომ, ძვირფასო საწვავის იმპორტიორებო, მაქვს მოლოდინი, რომ გაითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის, ქვეყნის მდგომარეობას და რაც შეიძლება მალე მოახდენთ საწვავის ფასების კორექტირებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, არსებობს მოლოდინი, რომ ძალიან მალე საწვავზე ფასებიც შემცირდება საქართველოში და რაც მალე დაიწყება ეს პროცესი, უკეთესი იქნება. „მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო უკრაინაში, თავიდან იყო შოკური მდგომარეობა საერთაშორისო ბაზარზე, მათ შორის ნავთობის ბაზარზე, ნავთობის ფასები მკვეთრად გაიზარდა, დაახლოებით 70%-ით და 140 დოლარზე ავიდა, თითქმის გაორმაგდა, 70-80 დოლარი იყო და ძალიან დიდი ცვლილება მოხდა ამ ბაზარზე. რა თქმა უნდა, ვინაიდან ჩვენ ვართ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა, პრაქტიკულად ყველაფერი შემოგვაქვს უცხოეთიდან, ჩვენ არ ვართ ნავთობპროდუქტების მწარმოებელი, ბუნებრივია, ფასებმა ჩვენთანაც მოიმატა, ისე, როგორც მთელს მსოფლიოში, ამერიკაში, ევროპაში, ყველგან პრაქტიკულად მოიმატა ნავთობის ფასებმა, მათ შორის, მწარმოებელ ქვეყნებშიც.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

მირიან მირიანაშვილი: „პოლიტიკურ ბომბზე ვსხედვართ“

„რუსეთთან დადგომა საქართველოს სრულ სწრაფ დანგრევას ნიშნავს“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ შეიქმნა გაურკვევლობა რუსეთის საწინააღმდეგო სასანქციო რეჟიმის გამო? რა უნდა იღონოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ რუსეთმა არ გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია კონტრაბანდისათვის? ვის რისთვის სჭირდება საქართველოს ნეიტრალიტეტი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.

– საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორია გამოიყენება სანქცირებული პროდუქციის რუსეთში კონტრაბანდისათვის. თქვენ მარტში გვითხარით ინტერვიუში, რომ არსებობს საერთაშორისო სანქციების პირობებში შავი ხვრელების შექმნის საშიშროება. რა სიტუაციაა ამ მხრივ?

– უკრაინის წარმომადგენლების ბრალდებებმა ამ საკითხზე ახალი დინამიკა მისცა საქართველო-უკრაინის პოლემიკას. ეს ძალიან სამწუხაროა. ეს არის ცუდი საქართველოსთვისაც. უკრაინელების ემოციური და ზოგჯერ გადამეტებული, გადაჭარბებული შეფასებები არ უნდა გაგვიკვირდეს. უკრაინა გახვეულია მძიმე ომში. გადავალ საკითხის არსობრივ მხარეზე. უკრაინის დაზვერვა ავრცელებს იმ ინფორმაციას, რომელიც მას ჩვენმა საერთო პარტნიორებმა მიაწოდეს. დასავლელ პარტნიორებს რომ ეს თავად გაეჟღერებინათ, ძალიან მძაფრი იქნებოდა. მათ აირჩიეს საკითხის წამოწევის დელიკატური, შემოვლითი გზა. თვითონ რომ გაეკეთებინათ ამაზე განცხადებები, ეს იქნებოდა საქართველოს დადანაშაულება რუსეთის სატელიტობაში. ამას თავი აარიდეს. საკითხი სერიოზულია. ამაზე მეტყველებს აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის გამოხმაურება. მან აღნიშნა, რომ ეს თემა საქართველომ და უკრაინამ უნდა განიხილონ.

– ამასობაში საქართველოს ხელისუფლებას უკრაინასთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაეძაბა?

– მარტო დაეძაბა კი არა, მიმდინარეობს შეტევები უკრაინის ხელისუფლებაზე. ესეც ადასტურებს, რომ მმართველ გუნდს, ქვეყანაზე პასუხისმგებელ ადამიანებს, პოლიტიკური პროცესების შეცნობის უნარი და კომპეტენცია არ გააჩნიათ.

– იქნებ საგარეო კურსს ცვლიან?

– არა, არა. ვიღაცას დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, რუსეთისკენ გადახრა შეუძლებელია. რუსეთს დაწესებული აქვს მკაცრი სანქციები. აშშ და ევროპა ყოველკვირეულად ახალ-ახალ სანქციებს ამატებენ. თუ რუსეთს ეს სამ-ოთხ თვეში დააუძლურებს, საქართველოს ერთ კვირაში გამოუყვანს წირვას. რუსეთთან დადგომა საქართველოს სრულ სწრაფ დანგრევას ნიშნავს. ამ საკითხის მორალურ და სხვა მხარეზე აღარაფერს ვამბობ.

– ანუ, საქართველომ, რომელსაც არ გამოუცხადებია ორმხრივი სანქციები რუსეთისთვის, უნდა დაიცვას საერთაშორისო სასანქციო რეჟიმი?

– ცხადია. ამისათვის აუცილებელია გარკვეული მოქმედებები. ვისარგებლებ ინტერვიუთი და თქვენი გაზეთიდან კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას, შექმნას სამსახური ამ სანქციების მონიტორინგისათვის, შეადგინოს სანქცირებული პროდუქციის ნუსხა (რომელიც მუდმივად იზრდება). მონიტორინგის სამსახურს ესაჭიროება აღჭურვილობა, თანამედროვე ტექნოლოგიები. აქ დაგვჭირდება ამერიკული დახმარება. სიტუაციის მოგვარებისათვის ცოტა დრო გვაქვს, ასე, ორი კვირა. რუსეთის მეზობელი სახელმწიფო ვართ და გულდასმით გვაკვირდებიან, რომ კონტრაბანდული არხები არ გაჩნდეს. მდგომარეობა მძიმეა, მმართველი გუნდი – არაკომპეტენტური. ამის გამო პოლიტიკურ ბომბზე ვსხედვართ.

– რუსეთში არ მალავენ, რომ კონტრაბანდული ტვირთბრუნვისათვის მესამე ქვეყნებს იყენებენ. რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლის თქმით, რუსეთის იმპორტიორები ევროპული სანქცირებული პროდუქციის იმპორტისათვის იყენებენ სავაჭრო პარტნიორებს ყაზახეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან. მისი ინფორმაციით, მიმდინარეობს აგრეთვე მოლაპარაკებები საქართველოსა და სომხეთთან.

– ასეთი მონაცემები ამერიკელი პარტნიორებისაგან არ მიმიღია. არა მგონია, რომ

„რუსებს ნეიტრალიტეტის შემოტანით უნდათ, თვითონ თავს გვესხმოდნენ, ჩვენი დამცველი კი არავინ იყოს“

საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაცია სწორი იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ამ კონტექსტში რუსები პროვოკაციულად ახსენებენ იმისთვის, რომ ჩვენ აშშ-სთან ურთიერთობა გაგვიფუჭდეს. ეს რომ სიმართლე იყოს, დასავლელი მოკავშირეები უმწვავესად ირეაგირებდნენ. ერთია, როცა ვერ შეაჩერე კონტრაბანდული ტვირთი და მეორეა, როცა ორგანიზებულ კონტრაბანდულ არხებზე აწარმოებ მოლაპარაკებას რუსეთთან. რუსეთთან გარიგება ბევრად უარესია. მგონია, რომ რუსეთი საქართველოს ამ კუთხით განზრახ ახსენებს, რომ საქართველოს დისკრედიტაცია მოახდინოს. ეს არის ფეიკი.

– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხდება საქართველოს ნეიტრალიტეტისათვის ნიადაგის მოსინჯვა. მათი აზრით, ამ მიმართულებით განცხადებებს აკეთებს როგორც მესამე პრეზიდენტი საკაშვილი, ისე „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც ამაზე სალაპარაკოდ მოსკოვში წავიდა.

– რუსეთი პირველად არ ცდილობს, საქართველოში ნეიტრალიტეტის თემა შემოაგდოს. 25 წელიწადზე მეტია, კრემლი ყველა ღონეს ხმარობს, „შემოგვტენოს“ ნეიტრალიტეტი. ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ანუ ზვიად გამსახურდიას მმართველობისას, უარი ვთქვით დსთ-ში შესვლაზე. ამის სანაცვლოდ რუსეთმა ნეიტრალიტეტი მოგვთხოვა. იმ განცხადებაში, სადაც უარს ვამბობდით დსთ-ზე, უნდა აგვეღო ვალდებულება ნეიტრალიტეტზე. ეს უნდა ჩაგვეწერა კონსტიტუციაშიც.

– ახლა იგივე ხდება?

– ახლანდელი მდგომარეობა მაშინდელის ფოტოსკოპირებული სიტუაციაა. რაში მდგომარეობს რუსეთიდან ინიცირებული ნეიტრალიტეტი? რუსებს უნდათ, თვითონ თავს გვესხმოდნენ, ჩვენი დამცველი კი არავინ იყოს. იმ დროს რუსებს ომი ჰქონდათ გაჩაღებული ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში ომის დასაწყებად ემზადებოდნენ და თან ნეიტრალიტეტს გვაძალებდნენ.

– საქართველოს ამ მხრივ უკრაინასაც ადარებენ.

– ეს შეცდომაა. ჯერ ერთი, უკრაინამ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი დაიწყო ომის დაწყების შემდეგ. მეორეც, უკრაინას მეზობლად ჰყავს პოლონეთი და სხვა ევროპული სახელმწიფოები. მისთვის გარანტიების მიღება უფრო ადვილია. ჩვენ სხვა გარემოცვაში ვიმყოფებით. ჩვენი ხსნაა სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან დასუსტებული რუსეთის ფონზე. კითხვაში სააკაშვილი ახსენეთ. ყოფილმა პრეზიდენტმა ნეიტრალიტეტის თემა ირიბად, შემოვლით შემოიტანა. თუმცა, ამითაც გაიშფრა. ამერიკელი პარტნიორების შეფასებით, ამით სააკაშვილმა კიდევ ერთხელ მოახდინა საკუთარი თავის ლუსტრირება. მოსკოვში მოსიარულე რუსეთუმეებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ჩვენ უნდა გავხდეთ აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორები და ვისარგებლოთ პოლიტიკური ფანჯრით. რუსეთი სუსტდება. მას მალე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის თავი აღარ ექნება. ამ დროს რუსეთიდან შემოგდებული ნეიტრალიტეტის თემა კი არ უნდა ვატრიალოთ, უნდა გავძლიერდეთ, გამოვიყენოთ ამერიკული ქოლგა და გავხდეთ ღირსეული სახელმწიფო. რუსეთის წინააღმდეგ იმდენი კი გვიბრძოლია, რომ ამის ღირსი ვიყოთ.

ლევან იოსელიანი: „აუცილებლად ჩავალთ ბუჩაში“

– მე, როგორც ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა, უკვე გავაკეთე კოორდინაცია ყველა ოპოზიციურ პარტიას შორის, ყველას თანხმობა მაქვს – აუცილებლად ჩავალთ ბუჩაში.

ამის შესახებ „მოქალაქეების“ დეპუტატმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ლევან იოსელიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, ვიზიტის თარიღზე ამ კვირაში შეჯერდებიან.

– არასოდეს ყოფილა ქართულ-უკრაინული ურთიერთობები ასეთ დაბალ დონეზე, როგორც დღეს არის. ამაში არის ჩვენი ხელისუფლების წვლილიც, ბრალიც.

ჩვენი დეპუტატების წასვლა იქნება პირველი ნაბიჯი, რომ უკიდურესად დაბალ ნიშნულზე დასული ურთიერთობები წამოვწიოთ და დავაბრუნოთ იქ, სადაც უნდა იყოს. ჩვენ, ოპოზიციას, გვაქვს პასუხისმგებლობა, ჩავიდეთ და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ. მე, როგორც ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა, გავაკეთე უკვე კოორდინაცია ყველა ოპოზიციურ პარტიას შორის, ყველას თანხმობა მაქვს, ყველა მზად არის წამოვიდეს, ამ კვირაში საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით დეტალებზე და გეტყვით, როდის ჩავალთ, აუცილებლად ჩავალთ და გამოვუცხადებთ სამძიმარს უკრაინელ ხალხს და უკრაინის ხელისუფლებას, – განაცხადა იოსელიანმა.

დაზუსტებაზე, უშუალოდ ბუჩაში ჩავლენ თუ არა, იოსელიანმა აღნიშნა, რომ სწორედ ბუჩაში ჩასვლაზეა საუბარი.

მისივე თქმით, იმედს იტოვებს, რომ საპარლამენტო დელეგაცია სრულად იქნება წარმოდგენილი და მათ შორის, მონაწილეობას მიიღებს მმართველი პარტიაც.

ღარიბაშვილი ევროპარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული ოფიციალური განაცხადი და საქართველოს მიმართ ევროპარლამენტის ურყევი მხარდაჭერა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის უსაფრთხოების და თავდაცვის ქვეკომიტეტის წარმომადგენლების შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ევროკავშირის წევრობის კითხვარი გადასცა ლუქსემბურგში, უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი და ხელისუფლება მობილიზებულია, რომ ბრიუსელში შევსებული კითხვარი უმოკლეს ვადაში გაიგზავნოს. მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ასოცირებული ტრიოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს თან ახლავს ევროკავშირის ინსტიტუტების ურყევი მხარდაჭერა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროკავშირის სტრატეგიული კომპასის ფარგლებში თანამშრომლობის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველო რეგიონში ევროკავშირის საიმედო პარტნიორია, ევროკავშირისა და საქართველოს მაღალი დონის სტრატეგიული უსაფრთხოების დიალოგი ეფექტურ პლატფორმად რჩება და მნიშვნელოვანია შავი ზღვის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების გაძლიერების კუთხით. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და უსაფრთხოების გამოწვევებზე. მთავრობის მეთაურმა ევროპარლამენტარებს საქართველოს ევროინტეგრაციის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო ერთგულია თავისი პოზიციისა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ყველა კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინას როგორც პოლიტიკური, ასევე ჰუმანიტარული თვალსაზრისით.

პარლამენტი 12 აპრილს ირაკლი შატაკიშვილის სადეპუტატო უფლებამოსილებას ცნობს

პარლამენტი 12 აპრილის პლენარულ სხდომაზე ირაკლი შატაკიშვილის სადეპუტატო უფლებამოსილებას ცნობს. შატაკიშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი საპროცედურო კომიტეტმა განიხილა და მხარი დაუჭირა.

„ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი ირაკლი შატაკიშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი რუსთავის შუალედური მაჟორიტარული არჩევნების შედეგად გახდა. ცესკოს მონაცემებით, შატაკიშვილმა 34.333 ხმა მიიღო და შუალედური არჩევნები 90.61%-ით მოიგო.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ექიმი ვალდებული იქნება, წამალი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს“

– 11 აპრილიდან რეცეპტის გამოწერა მხოლოდ გენერიკული დასახელებით მოხდება. ექიმი ვალდებული იქნება, რომ წამალი მხოლოდ გენერიკული, ანუ საერთაშორისო დასახელებით გამოწეროს და არა რომელიღაც კონკრეტული მწარმოებლის ბრენდის მიხედვით. ფარმაცევტი მომხმარებელს გენერიკული მედიკამენტების პოზიტიური სიიდან 3 ყველაზე იაფ წამალს შესთავაზებს. ეს იქნება მისი ვალდებულება. მას შემდეგ, რაც ექიმი გამოწერს ამ რეცეპტს, შემდეგ ფარმაცევტი ვალდებული იქნება, რომ მოქალაქეს შესთავაზოს 3 ყველაზე იაფი წამალი. ამის შემდეგ მოქალაქე თავად გადაწყვეტს, რომელი წამალი შეიძინოს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, თუ ადამიანს კონკრეტული მედიკამენტის შეძენაში ეხარჯებოდა თვეში 300-400-500 ლარი, ახლა ეს თანხა არის 60-70-80%-ით შემცირებული.

გარდა ამისა, ფსიქოტროპული და მასთან გათანაბრებული მედიკამენტების რეცეპტი, მატერიალური სახით აღარ გაიცემა და მისი გამოწერა მხოლოდ ელექტრონული ფორმით მოხდება. პრემიერის შეფასებით, ამ ცვლილებით მნიშვნელოვნად შეიზღუდება ფსიქოტროპული მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება.

პრემიერ-მინისტრი ასევე გამოეხმაურა ქვეყანაში არსებულ ეპიდვითარებას. ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საკოორდინაციო საბჭომ პროცესი სწორად მართა და კოვიდი პრაქტიკულად დამარცხებულია.

– კრიზისი გადალახულია, ამოწურულია. მოგეხსენებათ, ჩვენ მთელი რიგი შეზღუდვები მოვხსენით, გავამარტივეთ, ნიღბის ტარება გარე სივრცეში მოვხსენით, ამიტომ ჩვენს მოქალაქეებს უფრო მეტი თავისუფლება ექნებათ ამ მიმართულებით. სტრესი და წნეხი, რა თქმა უნდა, მოიხსნება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ძალიან მალე საწვავზე ფასებიც შემცირდება საქართველოში და რაც მალე დაიწყება ეს პროცესი, უკეთესი იქნება.

– ჩვენ აქაც უნდა გავხსნათ პროცესი, როგორც მედიკამენტების შემთხვევაში გავაკეთეთ, ყველას უნდა მიეცეს საშუალება, შემოიტანოს ნავთობი და საწვავი, რათა მეტი არჩევანის საშუალება ჰქონდეთ ჩვენს მოქალაქეებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, საწვავის ფასები შედარებით მსოფლიო ბაზარზე შემცირებულია და ლარიც გამყარებულია.

– მე მაქვს მოლოდინი, რომ საწვავის იმპორტიორები გაითვალისწინებენ ჩვენი მოსახლეობის, ქვეყნის მდგომარეობას და რაც შეიძლება მალე მოახდენენ ფასების კორექტირებას. აქაც, ისევე, როგორც მედიკამენტების შემთხვევაში, უნდა გავხსნათ პროცესი და ყველას უნდა მიეცეს საშუალება შემოიტანოს ნავთობი, იმიტომ, რომ უფრო მეტი არჩევანის საშუალება ჰქონდეთ ჩვენს მოქალაქეებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გენერალურ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა გაიმართა

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ, პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი წარუდგინა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელებული რეფორმის შედეგად და საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2022 წელს გენერალური პროკურორის ბრძანებით ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა. ღონისძიებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, სალომე შენგელიამ, დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში წარადგინა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე, მიღწეულ პროგრესსა და გამოწვევების ეფექტიანად დაძლევის სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა.

საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ჯეროვნად შესრულების, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროკურორთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის იმპლემენტაციის, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს გაძლიერებისა და დეპარტამენტად გარდაქმნის სტრატეგია, რომელიც 2012 წლიდან დამოუკიდებელ სტრუქტურულ დანაყოფს წარმოადგენდა. ადამიანის უფლებების მიმართულებით ინოვაციური მიდგომებისა და პროკურორების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ძირითად ფუნქციებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო ორგანოებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების შესწავლა, ანალიზი და პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს პროკურატურის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, ძლიერი და მიუკერძოებელი უწყების რეფორმირების პროცესში.

ტაქსის მძღოლმა ლატვიის მოქალაქე გაიტაცა

ლატვიის მოქალაქე თბილისში ტაქსის მძღოლმა გაიტაცა – ინფორმაციას ოთარ აბესაძე ავრცელებს, რომელიც წერს, რომ საქართველოში რიგის ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ჩამოფრინდა, ტაქსის მძღოლმა კი, აეროპორტიდან ფულის გამოძალვის მიზნით, მოტყუებით, გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. ლატვიის მოქალაქემ დარეკვა და გაფრთხილება, რომ ის და მისი მეგობარი გაიტაცეს, მოასწრო. დილით პოლიციამ მათ კახეთის გზაზე მიაკვლია. ტაქსის მძღოლი ჯერ დაკავებული არაა.

– იტყობინებოდა, რომ ის იყო გატაცებული და ტაქსის მძღოლი ითხოვდა თანხას. ამ მძღოლმა წაიყვანა გომბორის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც 20-ჯერ მეტი თანხა მოსთხოვა. რომ არ გადაუხადა, ჩამოყარა ძალით მანქანიდან, აღენიშნება დაზიანებები ერთ-ერთ პირს. არიან შოკირებულები მომხდარით, – ამბობს ოთარ აბესაძე „მთავარ არხთან“ საუბრისას.

რუსთავში მანქანა ველოსიპედისტს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ავარია მშენებელთა ქუჩაზე მოხდა, „ფორდი“-ს მარკის ავტომობილი ველოსიპედისტს დაეჯახა.

შეჯახების შედეგად ველოსიპედისტი რამდენიმე მეტრში დაეცა. ავტომობილის მძღოლის განცხადებით, ის საკუთარ გზაზე გადაადგილდებოდა, როდესაც მოულოდნელად ველოსიპედისტმა ჩაუარა. დაშავებული 25 წლამდე მამაკაცია. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები. პაციენტი გონზე იყო, სასწრაფოს ეკიპაჟმა მისი გადაყვანა რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში მოახერხა.

თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე, ხანძარი იყო

თბილისში, 9 აპრილს, გვიან ღამით, დგებუაძის ქუჩაზე ხანძარი იყო. არსებული ინფორმაციით, ცეცხლი საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. ხანძარი, სავარაუდოდ, ძველი ელექტროსადენების გამო გაჩნდა. ადგილზე მობილიზებულები იყვნენ სახანძრო-სამაშველოსა და პოლიციის თანამშრომლები.

პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

8 პირია დაკავებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და კახეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია 8 პირი.

საგამოძიებო უწყების ცნობით, დანაშაული 3-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.გ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად „მაკაროვის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი, მჭიდი და სხვადასხვა კალიბრის 45 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ასევე დაკავებულია 1985 წელს დაბადებული მ.თ., რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია „ნაგანის“ სისტემის არარეგისტრირებული რევოლვერი და 13 საბრძოლო ვაზნა. ორივე მათგანს ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ედება ბრალი.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.რ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცების სახით პისტოლეტი, მჭიდი და 15 საბრძოლო ვაზნა ამოიღო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1976 წელს დაბადებული ზ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მესტიაში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 54 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სხვადასხვა დროს 1973 წელს დაბადებული თ.ნ. და 1963 წელს დაბადებული ჯ.თ. დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 78 ვაზნა ამოიღო.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, 1972 წელს დაბადებული ი. კ. დააკავეს. პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კალაშნიკოვის მოდელის იჟჩის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 56 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. ი.კ.-ს ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული ბ.მ. ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა ქალაქ გორში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 146 ვაზნა ამოიღეს“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

მ.გ.-მ ბრიტანეთის მოქალაქეს 34.000 ლარი ჩაარიცხვინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დიდი ბრიტანეთის მოქალაქის მიმართ ჩადენილი თაღლითობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირის მიმართ დაიწყო.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, ბრალდებულმა დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს 10.000 გირვანქა სტერლინგი (34.064 ლარი) საკუთარი კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩაარიცხვინა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქემ მ.გ.-მ არარეზიდენტი ფიზიკური პირის ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, საქართველოში საწარმო დააფუძნა და კომპანიის სახელზე საბანკო ანგარიშები გახსნა.

ბრალდებულმა მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირთან ერთად, სოციალურ ქსელში, წინასწარ შექმნილ პლატფორმაზე მართლსაწინააღმდეგო მიზნებისთვის, თითქოსდა საფონდო ბირჟაზე ვაჭრობით დიდი მოგების მიღების პირობით, რეკლამა განათავსა და ნდობის მოპოვების შემდგომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს, 10.000 გირვანქა სტერლინგი (34.064 ლარი) საკუთარი კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩაარიცხვინა.

ბრალდებულმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხა, კანონიერი სახის მიცემის მიზნით, დააკონვერტირა საწარმოს საბანკო ანგარიშზე და მიღებული 12.437 აშშ დოლარი (33.240.37 ლარი), საბანკო დაწესებულებიდან ფიქტიური დანიშნულებით გაიტანა და სწრაფი ფულადი გზავნილებით სხვა ქვეყანაში მასთან დაკავშირებული პირის სასარგებლოდ გადარიცხა.

7 აპრილს, მიმალვაში მყოფ მ.გ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით ბრალდებულად იქნა ცნობილი ბრალდებულის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის და მხილების მიზნით“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გორში 2004 წელს გაუჩინარებული მოზარდის ცხედარი იპოვეს

გორში 2004 წელს გაუჩინარებული მოზარდის ცხედარი იპოვეს.

ინფორმაცია 2004 წელს გორში გაუჩინარებული 11 წლის ზაქრო ბერძნიშვილის დედამ, ხათუნა რაზმაძე-ბერძნიშვილმა დაადასტურა. არსებული ინფორმაციით, ცხედარი მდინარე ლიახვის ნაპირზე აღმოაჩინეს.

– ჩემი შვილი ვიპოვეთ, – განაცხადა მან.

სხვა დეტალებზე გაუჩინარებული ბიჭის დედა არაფერს ამბობს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ოჯახი ემოციურად რთულ მდგომარეობაშია და დამატებით კომენტარს ჯერჯერობით ვერ გააკეთებს.

საქმეზე მსჯავრდებული იაგო ნებიერიძის დედა ნუნუ გრიგალაშვილი კი აცხადებს, რომ ზაქრო ბერძნიშვილის ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ ბავშვის ოჯახს ინფორმაცია სწორედ ნებიერიძემ მიაწოდა.

– ბერძნიშვილების ოჯახს ჩემმა შვილმა ციხიდან მიაწოდა ინფორმაცია, სადაც ბავშვის ცხედარი იყო, მაგრამ აღნიშნული ბავშვის გაუჩინარებასა და მკვლელობაში მას ბრალი არ მიუძღვის, უბრალოდ, დაინახა და ინფორმაცია ჰქონდა, – განაცხადა ნუნუ გრიგალაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“ შსს-ს დაუკავშირდა, როგორც უწყებაში აცხადებენ, ნაპოვნია ერთი პირის ცხედარი და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. 11 წლის ზაქრო ბერძნიშვილი 2004 წლის ნოემბერში გორიდან საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. ბავშვის ადგილსამყოფელის დასადგენად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, თუმცა, ცხედრის კვალს ვერ მიაგნეს. არსებობდა ვერსია, რომ 11 წლის ბიჭი ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. მოგვიანებით, სწორედ ფულის გამოძალვის ბრალდებით, როგორც საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი, იაგო ნებიერიძე დააკავეს. თუმცა, ნებიერიძეს იმჟამად ბავშვის გატაცებაზე ან მკვლელობაზე ბრალი არ დაუმტკიცდა. მან სასჯელი მხოლოდ ფულის გამოძალვის ბრალდებით მოიხადა. ზაქრო ბერძნიშვილის საქმის გარდა, იაგო ნებიერიძე მთავარი ფიგურანტია 2018 წელს, გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობის საქმეში. გოგონას მკვლელობასა და მის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობაში სწორედ იაგო ნებიერიძეს დაუმტკიცდა ბრალი, რომელიც ამჟამად მსჯავრდებულია და უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი. იაგო ნებიერიძემ 2018 წელს სამართალდამცავებთან განაცხადა, რომ წლების წინ გაუჩინარებული ზაქრო ბერძნიშვილის ცხედრის ადგილსამყოფელი იცოდა და აღნიშნულ ტერიტორიად გორის კულტურისა და დასვენების პარკი მიუთითა. რამდენიმე კვირის განმავლობაში პარკის ტერიტორიაზე სხვადასხვა ხელსაწყოებისა და ცოცხალი ძალის გამოყენებით სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობდა, თუმცა, სამართალდამცავებმა ცხედარს ვერ მიაკვლიეს.

გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს ბუღალტერი და ყოფილი დირექტორი გამოკითხვაზე დაიბარეს

გამქრალი ნახევარი მილიონის საქმე

გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს ყოფილი დირექტორი გელა კაპანაძე დაახლოებით აუდიტის შეკითხვებს პასუხობდა. კაპანაძე უწყებაში მას შემდეგ დაიბარეს, რაც თაღლითური სქემისა და გამქრალი ნახევარი მილიონის შესახებ „მთავარმა არხმა“ ინფორმაცია გაავრცელა. არსებული ინფორმაციით, ბუღალტერი მითვისებულ თანხას აბალანსებდა იმით, რომ სამსახურიდან თანამშრომლებს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უხელფასო შვებულებაში უშვებდა.

– ტრადიციულად, ყოველწლიური შემოწმებაა. მეც ახლა დამიბარეს და მთხოვეს მობრძანება. ჩემთვის უცნობია აღნიშნული ფაქტის, გამქრალი მილიონის შესახებ. არ ვიცოდი ბიტკოინებზე, მერე გავიგე, როგორც ყველამ. მე ვერაფერს გეტყვით, ბუღალტერს, რა თქმა უნდა, აქვს წვდომა ხაზინასთან, – ამბობს გელა კაპანაძე.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, „მოდულში“ გამოკითხვაზე იმყოფებოდა გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს ფინანსური მენეჯერი, ქალი, რომელიც, სავარაუდოდ, 2 წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანხას თაღლითურად ეუფლებოდა. ჯამში მან ნახევარი მილიონი გადარიცხა აზარტული თამაშების ანგარიშზე.

ცნობისთვის, გორის მერიის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლისას, სახელმწიფო აუდიტმა მძიმე ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა. „მთავარის“ ინფორმაციით, გორის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოდან გამქრალია ნახევარი მილიონი ლარი, წინასწარი ინფორმაციით, ბიუჯეტის თანხას ფინანსური მენეჯერი, ეტაპობრივად აზარტული თამაშების ანგარიშებზე რიცხავდა.

ეს ის სააგენტოა, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ კულტურის სახლში, ცოტა ხნის წინ, ბიტკოინების ქარხანა იქნა აღმოჩენილი.

მაკრონი — 28%, ლე პენი — 23% საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური იქნება

საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და ულტრამემარჯვენე კანდიდატი მარინ ლე პენი მეორე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ამის შესახებ ინფორმაციას დასავლური მედია ეგზიტპოლებზე დაყრდნობით ავრცელებს. მაკრონმა არჩევნების პირველ ტურში ხმების 28,1% დააგროვა, ხოლო ლე პენმა ხმების 23,3%.

20%-ით მესამე ადგილი დაიკავა ულტრამემარცხენე კანდიდატმა ჟან-ლუკ მელენშონმა.

მარინ ლე პენმა მოუწოდა ფრანგ ხალხს, მას მისცენ ხმა.

როგორც მან აღნიშნა, ის იქნება „სრულიად ფრანგი ხალხის პრეზიდენტი“, თუ აირჩევენ მეორე ტურში და შეეხო ყველა იმ თემას, რომლებზეც მან არჩევნების წინ აწარმოა კამპანია, მათ შორის ფრანგული ღირებულებების აღდგენის, იმიგრაციის კონტროლისა და ყველას უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჩათვლით.

მან პირობა დადო, რომ „ხუთი წლის განმავლობაში საფრანგეთს მოაწესრიგებს“.

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 24 აპრილს გაიმართება. ცნობისთვის, საფრანგეთში პრეზიდენტს პირდაპირი, საყოველთაო კენჭისყრის წესით 5-წლიანი ვადით ირჩევენ.

უკრაინის მთავრობამ გათავისუფლებული რეგიონების აღსადგენად 1 მილიარდი გრივნა გამოყო

მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა სარეზერვო ფონდიდან პირველი 1 მილიარდი გრივნა გამოეყო რუსი ოკუპანტებისგან გათავისუფლებული რეგიონების აღსადგენად.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილემ კირილო ტიმოშენკომ ტელეგრამზე განაცხადა.

„რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციებისა და ტერიტორიული თემების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს განიხილეს დამატებითი დაფინანსების საკითხები, რადგან განადგურების ასეთი მასშტაბით რესურსები არასაკმარისი იყო“ – განაცხადა ტიმოშენკომ.

გადაწყვეტილების თანახმად, კიევის ოლქის აღსადგენად გამოიყოფა 400 მილიონი გრივნა, ჩერნიგოვისა და სუმის ოლქების აღსადგენად 250 მილიონი გრივნა და ჟიტომირის ოლქის აღსადგენად 100 მილიონი გრივნა.

სარეზერვო ფონდის სახსრები განკუთვნილია ფანჯრების, სახურავების, სახლების ფასადების, გზების, საინჟინრო ქსელების და სისტემების რესტავრაციისა და გამოცვლისთვის, კერძოდ, გათბობის, გაზის, წყლის, ელექტროენერგიის, განადგურებული სამხედრო და სამოქალაქო ტექნიკისგან გასუფთავებისა და ქუჩების დასუფთავებისთვის.

„ყოველდღე ჩვენ ვმუშაობთ, რომ უკრაინელები, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში და დაუბრუნდნენ ჩვეულ ცხოვრებას“ – განაცხადა ტიმოშენკომ.

უკრაინის აღმოსავლეთში რუსებმა რკინიგზის სადგური დაბომბეს

უკრაინის აღმოსავლეთში რუსმა სამხედროებმა კიდევ ერთი რკინიგზის სადგური დაბომბეს.

ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის სარკინიგზო კომპანიის თავმჯდომარე ალექსანდრ კამიშინი ავრცელებს, თუმცა რკინიგზის ლოკაციის შესახებ დამატებით ინფორმაცია არ გაუსაჯაროვებია.

– ღამით რკინიგზის კიდევ ერთი სადგური დაიბომბა უკრაინის აღმოსავლეთში რუსული ჯარის მიერ. ისინი აგრძელებენ დარტყმებს სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე. მსხვერპლი არ არის არც მშვიდობიან მოსახლეობასა და არც რკინიგზის თანამშრომლებს შორის, – განაცხადა კამიშინმა.

მისივე თქმით, დაზიანდა 5 ლოკომოტივი, ასევე ლიანდაგი და ელექტროხაზები.

– თუმცა ეს ყველაფერი რკინაა და ამას აღვადგენთ, – განაცხადა კამიშინმა.

ცნობისთვის, 8 აპრილს რუსულმა ძალებმა უკრაინის აღმოსავლეთში კრამატორსკის რკინიგზის სადგური დაბომბეს, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისთვის გამოიყენებოდა.

შედეგად 57 ადამიანი გარდაიცვალა და 109 დაშავდა.

მოსახლეობას ნაღმები სამზარეულოს კარადებში, მაცივრებსა და კარებზე ხვდება

– ყუმბარა-ხაფანგები და ასაფეთქებლები სახლში დაბრუნებულ ადამიანებს სამზარეულოს კარადებში, მაცივრებსა და კარებზე ხვდებათ.

ამის შესახებ რადას დეპუტატმა ლესია ვასილენკომ იმ ქალაქებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომლებიც უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსი ოკუპანტებისგან გამოიხსნეს.

მისი თქმით, უკრაინის ხელისუფლება სთხოვს ადგილობრივ მოსახლეობას, სპეციალისტებს განაღმვითი სამუშაოების ჩასატარებლად დრო მისცენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდნენ სახლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული უფრო მეტი ადამიანური მსხვერპლი.

– რუსეთმა ბევრი ლეტალური „საჩუქარი“ დაუტოვა უკრაინელებს, რომლებიც კიევის ოლქში ოკუპანტებისგან გათავისუფლებულ ქალაქებში ბრუნდებიან. ყუმბარა-ხაფანგები და ასაფეთქებლები მათ სამზარეულოს კარადებში, მაცივრებსა და კარებზე ხვდებათ.

უკრაინა სთხოვს მოსახლეობას, მისცენ სპეციალისტებს დრო განაღმვითი სამუშაოების ჩასატარებლად და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდნენ სახლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული უფრო მეტი ადამიანური მსხვერპლი, – განაცხადა დეპუტატმა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

ზვიგენი წყალში შესულ მეთევზეს თავს დაესხა

აშშ-ში ზვიგენი თავს დაესხა მეთევზეს, რომელიც ანკესით თევზაობის დროს წყალში შევიდა.

აღნიშნული თავდასხმა ფლორიდის შტატში, ქალაქ პალმ-ბიჩის მახლობლად მოხდა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, 50 წლის მამაკაცი ნაპირის შორიახლოს თავთხელწყალში იდგა და გარკვეული დროის შემდეგ მას ფეხში ზვიგენი ჩააფრინდა კბილებით. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც გაირკვა, რომ დაზიანება, მიუხედავად მისი სერიოზულობისა, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ ყოფილა.

– რეალობა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ წყალსატევში, რომელიც ოკეანეს უკავშირდება, შეიძლება ზვიგენი აღმოჩნდეს. ყველას გირჩევთ, არ შეხვიდეთ წყალში, როდესაც ხედავთ, რომ იქ უამრავი პატარა თევზი ირევა, ვინაიდან ზვიგენები სწორედ მათზე ნადირობენ. ამიტომ შეეცადეთ, მათგან თავი მოშორებით დაიჭიროთ, – განაცხადა ბიოლოგმა რობი რომერმა.

142 წლის ვისკის ბოთლი აუქციონზე გამოიტანეს გასაყიდად(ინგლის)

უიშვიათესი 142 წლის ბოთლი Cassidy`s Whiskey აუქციონზე გასაყიდად მას შემდეგ გამოიტანეს, როდესაც ის ირლანდიელი ექიმის ძველ ჩანთაში აღმოაჩინეს.

ვისკის ბოთლი ირლანდიის კილდერის საგრაფოს დასახლება მონასტერივინში აღმოაჩინეს. გაზეთი, რომელშიც ბოთლი იყო გახვეული, 1899 წლით იყო დათარიღებული და მასში ვისკის სამკურნალო თვისებებზე იყო საუბარი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თავდაპირველი მფლობელი მის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენებას აპირებდა.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი თავდაპირველი დანიშნულება, უიშვიათესმა ვისკიმ შესაძლოა ამ სასმელის სპეციალისტებს შორის დიდი დაინტერესება გამოიწვიოს. ექსპერტებმა ის 14 ათას ევროდ შეაფასეს, თუმცა უფრო მაღალი ფასიც შეიძლება დაედოს. რამდენიმე წლის წინ მსგავსი ვისკის ბოთლი 23 ათას ევროდ გაიყიდა.

ნაპოვნი ვისკის ბოთლი გასაყიდად ექიმის სამედიცინო ტყავის ჩანთასთან და იმ გაზეთთან ერთადაა გამოტანილი, რომელშიც აღმოაჩინეს და რომელშიც იყო გახვეული.

მამაკაცმა ტელევიზორზე უარი თქვა და სარდაფი უზარმაზარ აკვარიუმად გადააქცია

დიდ ბრიტანეთში თევზების მოყვარულმა საკუთარი სარდაფი უზარმაზარ აკვარიუმად გადააქცია, რომელშიც 400 თევზი ბინადრობს და ამ ყველაფერზე 20 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

49 წლის ჯეკ ჰიტკოტი ამტკიცებს, რომ თევზებით ხუთი წლის ასაკში დაინტერესდა, როდესაც მას ოქროს თევზი აჩუქეს. მისი ინტერესი წყალქვეშა სამყაროს მიმართ მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც ათი წლის ასაკში ბლექპულის აკვარიუმი დაათვალიერა. წლების განმავლობაში მისი თევზებით გატაცება არ განელებულა და მას შემდეგ, რაც გაიზარდა, გადაწყვიტა საკუთარი ჰობის განსახორციელებლად მთელი სარდაფი დაეთმო.

ჰიტკოტმა, მისივე მტკიცებით, დიდ ბრიტანეთში ყველაზე დიდი აკვარიუმი გააკეთა. მისი მშენებლობა მას 6500 ფუნტი სტერლინგი დაუჯდა, თუმცა მასზე დახარჯული ფული და დრო სულაც არ ადარდებს. აკვარიუმის გამო მან უარი თქვა ტელევიზორზე და ახლა თევზების ყურებით ტკბობა მის მთავარ გასართობს წარმოადგენს. ბრიტანელი მიიჩნევს, რომ თევზებს მისთვის სიმშვიდე მოაქვთ.

ორი მეტრი სიღრმის აკვარიუმი 18 ათას ლიტრ წყალს იტევს და კონსტრუქციის წონის გათვალისწინებით 22 ტონას იწონის.

ქალმა სამაშველო სამსახურს პიცა შეუკვეთა და თავი გადაირჩინა

ბრიტანეთის ჩრდილოეთ იორკშირის საგრაფოში ქალმა სამაშველო სამსახურში დარეკა, პიცა შეუკვეთა და ამით სიცოცხლე გადაირჩინა.

ქალმა სამაშველო სამსახურის ნომერი იმის გამო აკრიფა ტელეფონზე, რომ მათთვის ეცნობებინა იმ საფრთხის თაობაზე, რომ მასთან ერთად ავტობუსში მყოფი მამაკაცისგან საფრთხე ემუქრებოდა. იმისთვის, რომ მამაკაცს ეჭვი არ აღძვროდა, მან დისპეტჩერს უთხრა, რომ პიცის შეკვეთა სურდა. დისპეტჩერმა მაშინვე ჰკითხა ქალს, რაიმე საფრთხე ხომ არ ემუქრებოდა. დადასტურების მიღების შემდეგ, მან ქალს დამაზუსტებელი კითხვების დასმა დაუწყო, რომლებზეც ერთსიტყვიანი პასუხის გაცემა იყო შესაძლებელი.

დისპეტჩერმა ქალს ასევე გაუგზავნა სმს-ი თხოვნით, გადაეგზავნა მისთვის დამატებითი ინფორმაცია. შედეგად შესაძლებელი გახდა ავტობუსის ადგილმდებარეობის დადგენა და მალე პოლიციამ ეჭვმიტანილი დააკავა, რომელიც ქალაქ ლიდსის მცხოვრები, 40 წლის მამაკაცი აღმოჩნდა.

მოგვიანებით მამაკაცი გაათავისუფლეს, ქალს კი დაცვა მიუჩინეს.

– ვიცი, რომ სხვა ქვეყნებში „პიცის შეკვეთის“ მეთოდი პოლიციასთან დაკავშირებისთვის გამოიყენება, თუმცა მსგავს შემთხვევას ჩრდილოეთ იორკშირში ვერ ვიხსენებ, – განაცხადა პოლიციის ინსპექტორმა დენ სპენსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისის დინამომ ქულები დაკარგა და ბათუმის დინამოს ლიდერობა დაუთმო

ეროვნული ლიგის მე-7 ტურის 4 მატჩი გაიმართა: აქედან 2 ფრედ დასრულდა, 2 კი, სტუმრებმა მოიგეს. მასპინძლებისთვის ნამუსის მოწმენდას ტურის ბოლო მატჩში ლოკომოტივი შეეცდება, რომელიც შინ გორის დილას დაუხვდება. თუმცა, ფავორიტი აქაც სტუმარი გუნდია.

სამგუჰაეი-დინამო (ბთ) 0:3
ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 ფლამარიონი (2), 0:2 ლობჯანიძე (79), 0:3 ფალავანდიშვილი (86)

მე-7 წუთზე კუხიანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

სამგურალი: შოვნაძე, კიკაბიძე, ქურდაძე, მაისაშვილი (დევდარიანი 51), პატარკაციშვილი, გილმორი (გავაშელიშვილი 81), მ.ბაშელეიშვილი, ბურჯანაძე, ჩიხლაძე (სიმდიანკინი 51), ჯერალდო (რუხაძე 51), ს.კუხიანიძე (დოლიძე 81)

დინამო: ალავიძე, ჩაბრაძე (ჯიღაური 51), კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, რადინი (ფალავანდიშვილი 74), ტეიდი, ალთუნაშვილი, მამუჩაშვილი (გაფრინდაშვილი 29), კვარაცხელია (ლობჯანიძე 74), ჯოვინო (ანანიძე 74)

მოქმედმა ჩემპიონმა ზედიზედ მესამედ იმარჯვა და ლიდერობას აგრძელებს. მატჩის დასაწყისშივე ჯოვინო ფლამარიონმა ანგარიში გახსნა და 79-ე წუთამდე მინიმალური სხვაობა იყო, მერე კი ბათუმელთა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: ელგუჯა ლობჯანიძემ სხვაობა გაზარდა, მესამე კი გუგა ფალავანდიშვილმა დაამატა.

თუმცა თამაში ბევრად დაიძაბებოდა, მე-7 წუთზე სამგურალის ფორვარდ სერგო კუხიანიძეს პენალტი რომ გაეტანა, მაგრამ მიხეილ ალავიძემ აუღო.

თელავი-დინამო (თბ) 1:1
თელავი. კავკასიონი არენა

0:1 მექვაბიშვილი (4), 1:1 პავიშიჩი (14)

თელავი: სანიკიძე, ფაცაცია (აშორტია 60), ზ.თევზაძე, თოლორდავა, მარაქველიძე, ჯიქია, ქანთარია, პავიშიჩი (ქოჩლაძე 64), პარკინაშვილი (ფირანაშვილი 71), გოშთელიანი, მუჯირი (ხაბულიანი 71)

დინამო: პრიეტო, მალი (მაისურაძე 90), ბენიო, ხვადაგიანი, ხარაბაძე (კალანდაძე 80), პაპავა (გაბედავა 80), ანტილევსკი (ბარნსი 71), მოისწრაფიშვილი (ლომინაძე 46), მექვაბიშვილი, კამარა, ბილენკი

2-ვე გოლი დასაწყისში გავიდა და ორივე საყრდენმა ნახევარმცველებმა გაიტანეს. ორივემ იდენტური გოლები – ახლოდან დასწრებაზე. დინამოელები ანზორ მექვაბიშვილმა დააწინაურა, თელავიდან კი, სერბმა სტრაჰინია პავიშიჩმა გაათანაბრა.

დინამო ამ ტურამდე დაკარგული ქულებით პოტენციური ლიდერი იყო, მაგრამ ახლა უკვე წინ ზღვისპირელი დინამოელები გაუშვეს.

საბუთალო-სიონი 3:3
თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ლ.ხორხელი (7), 0:2 ნ.ხორხელი (18), 1:2, 2:2 სიხარულიძე (52, 70), 3:2 ჩუკვურა (79), 3:3 ტაბატაძე (89)

საბურთალო: გოშაძე, იაშვილი, კაკუბავა, ჯგერენაია, უბილავა (ი.ტაბატაძე 46), მიოჩი, ქარდავა (შ.ნონიკაშვილი 67), გოჩოლეიშვილი, ლ.ნონიკაშვილი (ქავთარაძე 46), შინდაგორიძე (გულიაშვილი 67), სიხარულიძე

სიონი: ისიანი, კორიფაძე, კილასონია, უგრეხელიძე, ნემსაძე, ფოცხვერია, ლ.ხორხელი (ჯაფიაშვილი 57), ზურაბიანი (მაჩაიაძე 57), ნ.ხორხელი (დუმბია 90), ჩუკვურა, თ.ტაბატაძე

გაძევება: ნემსაძე (75, სიონი)

მიხეილ მესხზე გამართული მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. ცხრილის ბოლო ნაწილში მყოფი სიონი მე-18 წუთისთვის უკვე 2 ბურთით იგებდა საბურთალოსთან. გოლები ძმებმა, ლუკა და ნიკა ხორხელებმა გაიტანეს. სხვათა შორის, ორივე საბურთალოს აკადემიაში იზრდებოდა.

მე-2 ნახევარში საბურთალომ მოუმატა და ირაკლი სიხარულიძემ დუბლი გაიფორმა – 2:2. სიონი რაფაელ ჩუკვურას გოლით ისევ დაწინაურდა, ამასთან, მაშინ, როდესაც მოედანზე კაცნაკლული იყო. თუმცა, მატჩის ბოლოს იური ტაბატაძემ საბურთალოს ქულა მაინც მოუტანა – 3:3. სიონმა ბოლო 2 ტურში 4 ქულა აიღო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სანდრო მამუკელაშვილი საქართველოს საუკეთესო მეჭულეა

სანდრო მამუკელაშვილმა ისტორია დაწერა. 22 წლის ფორვარდმა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ისე შედეგიანად ითამაშა, რომ ყველა დროის ქართული რეკორდი დაამყარა. აქამდე ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ჩვენს თანამემამულეთაგან მაქსიმალური შედეგი ზაზა ფაჩულიას ჰქონდა, რომელიც მან 2007 წლის 7 მარტს ვაშინგტონთან მოაგროვა და 27 ქულას შეადგენდა. ამ შედეგს ინდიანა პეისერსის ცენტრი, გოგა ბითაძე უტეევდა, რომელმაც ბოლო პერიოდში ერთხელ 20, ერთხელაც 23 ქულა მოინაგრა, თუმცა ნბა-ს ქართული რეკორდი მილუოკი ბაქსის ქართველმა ფორვარდმა სანდრო მამუკელაშვილმა დაამხო, რომელმაც მიმდინარე სეზონის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში 28 ქულა მოინაგრა.

მოქმედმა ჩემპიონმა მილუოკიმ, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, 82-ე მატჩი ცხრილში არაფერს უწყვეტდა, იანის ადეტოკუმბო და სხვა წამყვანი მოთამაშეები დაასვენა. „ფურირმები“ კლივლენდ კავალერსთან სათამაშოდ 7 კალათბურთელით წარდგნენ, რომელთაგან საუკეთესო შედეგი მამუკელაშვილმა დააფიქსირა. შეხვედრა კლივლენდელთა გამარჯვებით, 133:115 დასრულდა, რომლებსაც ფლეი ინში შესასვლელად მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ.

სარეკორდო 28 ქულასთან ერთად სანდროს 13 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა ჰქონდა. მამუკელაშვილმა ბურთი 2-ჯერ დაკარგა და ამდენჯერვე დაჯარიმდა. ჩვენებურმა 13-დან 8 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

ქართველი ფორვარდი მილუოკელთაგან საუკეთესო იყო, კლივლენდში კი, მასზე მაღალი შედეგი გამოცდილმა ვარსკვლავმა კევინ ლავმა დააგროვა – 32 ქულა, 15 მოხსნა. ამ შედეგის დასაფიქსირებლად ლავს მხოლოდ 15 წუთი დასჭირდა, რაც ნბა-ში 1954 წლის შემდეგ, ანუ რაც შესატევად დროის ნიშნული დაწესდა, არავის გაუკეთებია.

აღსანიშნავია, რომ მამუკელაშვილს აქამდელი საუკეთესო შედეგი, 17 ქულა, სწორედ კლივლენდთან ჰქონდა მოგროვებული გასული წლის 19 დეკემბერს 90:119 წაგებულ შეხვედრაში.

სანდრო მამუკელაშვილი:

– ამ სეზონის მადლობელი ვარ. წინა წელს არც კი ვიცოდი, ლიგაში ვიქნებოდი თუ არა. ვფიქრობ, განვითარება სწავლაზეა დამოკიდებული. უნდა ვყოფილიყავი მომთმენი და შანსი გამომეყენებინა. როცა ლიგის საუკეთესო გუნდში ხარ და სწავლობ ისეთი კალათბურთელებისგან, როგორებიც იანისი, ლოპესი და პორტისი არიან, უბრალოდ მადლობელი უნდა იყო. საერთო ჯამში, დიდებული წელი იყო და განვითარება უნდა გავაგრძელო. თანაგუნდელები ყველაფერში მეხმარებიან. ნებისმიერ დროს შემიძლია დავურეკო ჯრუს, ბობის, ნებისმიერ სხვას და ისინი რჩევებს ყოველთვის მაძლევენ. მახსოვს, როცა ვეგასში ვიყავი და იანისი პირველად ვნახე, მწვრთნელს ვთხოვე, ჩვენთვის სურათი გადაეღო და მან მითხრა, რომ ის ჩემი თანაგუნდელი იყო და ეს არ გამეკვეთებინა.

მილუოკი ფლეი ოფის პირველ წრეში ჩიკაგოს ხვდება, რომელსაც მიმდინარე სეზონში 4-ვე შეხვედრა მოუგო.

გიორგი შერმადინი ჩვეულ სტიქიაშია. ეს ნიშნავს, რომ მისმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში იმარჯვა, ქართველი ცენტრი კი მოედანზე ყველაზე შედეგიანი და, შესაბამისად, მატჩის მვპ გახდა. ეს ამბავი ლიგა ენდესას მორიგ, 28-ე ტურში მოხდა, რომელშიც ტენერიფემ ბრეგანს უმასპინძლა და 96:78 დაამარცხა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 26:18 წუთში 19 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. გიორგიმ 9-დან 6 ორქულიანი და 7-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 32-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ. ცხადია, ქართველ ლეგიონერს მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტული ერგო და შანსია, ის ტურის მვპ-იც გახდეს.

ტენერიფემ ამ მოგებით 34 ქულა დააგროვა და ჩემპიონატში მე-6 ადგილს იკავებს. შერმადინის გუნდი ჩემპიონატში მომდევნო მატჩს ფუენლაბრადასთან გამართავს, მანამდე კი, ჩემპიონთა ლიგაზე თურქულ თოფასს ესტუმრება.

ლიგა ენდესაში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრმა თად მაკფადენმა, რომელიც ესპანური მურსიას ღირსებას იცავს,

მურსიელთაგან, რომლებმაც გრან კანარიას უმასპინძლეს და 86:75 სძლიეს, მაკფადენი ყველაზე შედეგიანი იყო.

თადმა მოედანზე 19:19 წუთი გაატარა და 18 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა მცველმა 4-დან 3 ორქულიანი, 9-დან 3 სამქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო.

მაკფადენის პასივში თითო დაკარგვა და პერსონალური ფოლი იყო და მის წინააღმდეგაც ერთხელ დაჯარიმდნენ.

მურსია საპლეიოფო რვეულში მოსახვედრად იბრძვის და ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაკფადენის გუნდმა 15 მოგება და 12 მარცხი მოაგროვა და მე-7 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო შეხვედრას კი სტუმრად, ბასკონიასთან ჩაატარებს.

თბილისის დინამომ ქულები დაკარგა და ბათუმის დინამოს ლიდერობა დაუთმო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

გაგრა-ტოჰპედო 0:2

თბილისი. დინამო არენა

0:1 კუხიანიძე (7), 0:2 ახვლედიანი (68)

გაგრა: ქურდაძე, შეწირული (კვირკველია 62), ნოზაძე, ჭანტურია, ქობულაძე, სულთანიშვილი (ხაბელაშვილი 80), შონია, ვეკუა (ფარულავა 62), ჩოგაძე (ოლხოვი 70), ვაწაძე, კვირკვია (ბუხაიძე 70)

ტორპედო: ჰამზიჩი, მირცხულავა, სანდოხადე, აბულაძე (ბოჭორიშვილი 87, შულაია (ვ.ტაბატაძე 46), კარაგუნისი, ცინცაძე (არველაძე 62), გ.კუხიანიძე (ვაჩიბერაძე 78), ნადარაია, პაპუნაშვილი, ბუღრიძე (ახვლედიანი 62)

გაძევება: ქურდაძე (83)

ქუთათურებმა ზედიზედ მეორედ მოიგეს, გაგრამ კი პირიქით – ზედიზედ მეორედ წააგო.

რიონისპირელები მალევე დაწინაურდნენ – გიორგი კუხიანიძემ სწრაფი გოლი გაიტანა. მე-2 ტაიმის შუაში თორნიკე ახვლედიანმა მე-2 ბურთი მიითვალა და გუნდს კომფორტული უპირატესობა დაუბევა. აღსანიშნავია, რომ ახვლედიანი მხოლოდ 6 წუთის შესული იყო მოედანზე.

საინტერესოა ისიც, რომ გაგრაში დებიუტი საქართველოს ნაკრების მცველ სოლომონ კვერკველიას ჰქონდა. კვერკველიამ საერთოდ პირველად ითამაშა ქართულ კლუბში პროფესიულ დონეზე.

იგივე უნდა დავწეროთ ტორპედოელ ლევან არველაძეზეც. კვერკველიას მსგავსად, 29 წლის ნახევარმცველსაც დებიუტი ჰქონდა.

სატუხნიო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	7	5	1	1	16-4	16
2.დინამო (თბ)	6	4	1	1	10-6	13
3.დილა	6	4	0	2	8-6	12
4.თელავი	6	2	3	1	6-4	9
5.ტორპედო	6	3	0	3	7-10	9
6.საბურთალო	6	2	2	2	9-8	8
7.სამგურალი	6	2	2	2	7-7	8
8.გაგრა	6	2	1	3	7-8	7
9.სიონი	7	1	2	4	7-14	5
10.ლოკომოტივი	6	0	0	6	4-14	0

შედეგები

10 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრენტფორდი-ვესტ ჰემი 2:0
ლესტერი-კრ.პალასი 2:1
ნორვიჩი-ბარნლი 2:0
სიტი-ლივერპული 2:2

სატუნიო ცხრილი:

1.სიტი	31	23	5	3	72-20	74
2.ლივერპული	31	22	7	2	79-22	73
3.ჩელსი	30	18	8	4	64-23	62
4.ტოტენჰემი	31	18	3	10	56-37	57
5.არსენალი	30	17	3	10	45-36	54
6.ვესტ ჰემი	32	15	6	11	51-42	51
7.მანჩესტერი	31	14	9	8	49-42	51
8.ვულვზი	32	15	4	13	33-28	49
9.ლესტერი	29	11	7	11	45-48	40
10.კრ.პალასი	31	8	13	10	43-40	37
11.ბრაიტონი	31	8	13	10	28-37	37
12.ასტონ ვილა	31	11	3	17	42-46	36
13.ბრენტფორდი	32	10	6	16	39-48	36
14.საუთჰემპტონი	31	8	12	11	37-52	36
15.ნიუკასლი	31	8	10	13	34-54	34
16.ლიდსი	32	8	9	15	38-68	33
17.ევერტონი	30	8	4	18	33-52	28
18.ბარნლი	30	4	12	14	25-44	24
19.უოტფორდი	31	6	4	21	29-60	22
20.ნორვიჩი	31	5	6	20	20-63	21

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ფულემი-ქოვენთრი 1:3

გერმანია. ბუნდესლიგა

ბოხუმი-ლევერკუზენი 0:0
აინტრახტი-ფრაიბურგი 1:2
ლაიფციგი-ჰოფენჰაიმი 3:0

სატუნიო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	22	3	4	86-29	69
2.დორტმუნდი	29	19	3	7	70-42	60
3.ლევერკუზენი	29	15	7	7	68-42	52
4.ლაიფციგი	29	15	6	8	64-31	51
5.ფრაიბურგი	29	13	9	7	46-34	48
6.ჰოფენჰაიმი	29	13	5	11	50-45	44
7.უნიონი	29	12	8	9	38-39	44
8.კიოლნი	29	11	10	8	41-43	43
9.აინტრახტი	29	10	9	10	40-40	39
10.მაინცი	29	11	5	13	43-36	38
11.გლადბახი	29	10	7	12	41-52	37
12.ბოხუმი	29	10	6	13	30-40	36
13.ვოლფსბურგი	29	10	4	15	33-45	34
14.აუგსბურგი	29	8	8	13	34-46	32
15.შტუტგარტი	29	6	9	14	36-53	27
16.არმინია	29	5	11	13	23-43	26
17.ჰერტა	29	7	5	17	31-66	26
18.ფიურტი	29	3	7	19	24-72	16

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაიზენი-დინამო 2:1
პადერბორნი-კარლსრუე 2:2
კილი-ჰამბურგი 1:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ალავესი 1:0
ესპანიოლი-სელტა 1:0
ელჩე-სოსიედადი 1:2
ლევანტე-ბარსელონა 2:3

სატუნიო ცხრილი:

1.რეალი	31	22	6	3	63-26	72
2.ბარსელონა	30	17	9	4	60-31	60
3.სევილია	31	16	12	3	44-22	60
4.ატლეტიკო	31	17	6	8	57-38	57
5.ბეტისი	31	17	5	9	56-37	56
6.სოსიედადი	31	15	9	7	32-30	54
7.ვილიარეალი	31	12	10	9	49-30	46
8.ბილბაო	31	11	12	8	36-30	45
9.ვალენსია	30	10	11	9	42-43	41
10.ოსასუნა	31	11	8	12	31-40	41
11.ესპანიოლი	31	10	9	12	36-42	39
12.სელტა	31	9	9	13	34-35	36
13.რაიო	29	9	6	14	31-36	33
14.ხეტაფე	31	7	11	13	28-35	32
15.ელჩე	31	8	8	15	32-44	32
16.გრანადა	31	6	11	14	35-52	29
17.ესპანიოლი	31	7	8	16	27-50	29
18.კადისი	31	5	13	13	26-43	28
19.ლევანტე	31	4	10	17	35-61	22
20.ალავესი	31	5	7	19	24-53	22

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფუენლაბრადა-უესკა 2:3
სარაგოსა-ხირონა 1:0
იბიცა-ეიბარი 2:0
მირანდესი-ბურგოსი 3:1
ოვიედო-ლეგანესი 1:0

იტალია. სერია ა

ჯენოა-ლაციო 1:4
ვენეცია-უდინეზე 1:2
ნაპოლი-ფიორენტინა 2:3
სასუოლო-ატალანტა 2:1
რომა-სალერნიტანა 2:1
ტორინო-მილანი 0:0

სატუხნიო ცხრილი:

1.მილანი	32	20	8	4	56-29	68
2.ინტერი	31	19	9	3	64-25	66
3.ნაპოლი	32	20	6	6	58-26	66
4.იუვენტუსი	32	18	8	6	49-28	62
5.რომა	32	17	6	9	53-36	57
6.ლაციო	32	16	7	9	64-47	55
7.ფიორენტინა	31	16	5	10	52-40	53
8.ატალანტა	31	14	9	8	53-36	51
9.სასუოლო	32	12	10	10	58-52	46
10.ვერონა	32	12	9	11	56-49	45
11.ტორინო	31	10	9	12	35-30	39
12.უდინეზე	30	8	12	10	43-48	36
13.ბოლონია	30	9	7	14	32-44	34
14.ემპოლი	32	8	10	14	41-56	34
15.სპეცია	32	9	6	17	32-54	33
16.სამპდორია	31	8	5	18	39-52	29
17.კალიარი	32	5	10	17	30-61	25
18.ჯენოა	32	2	16	14	24-52	22
19.ვენეცია	31	5	7	19	26-57	22
20.სალერნიტანა	30	3	7	20	23-68	15

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ვიჩენცა 1:0
ასკოლი-რეჯინა 2:0
კოზენცა-მონცა 0:2
კროტონე-ტერნანა 1:2
პერუჯა-პიზა 1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ბორდო-მეცი 3:1
ანჟე-ლილი 1:1
ბრესტი-ნანტი 1:1
მონაკო-ტრუა 2:1
ლანსი-ნიცა 3:0
სტრასბური-ლიონი 1:1
მარსელი-მონპელიე 2:0

სატუნიო ცხრილი:

1.პსჟ	31	22	5	4	70-29	71
2.მარსელი	31	17	8	6	51-29	59
3.რენი	31	17	5	9	67-31	56
4.სტრასბური	31	14	10	7	52-33	52
5.ნიცა	31	15	7	9	40-27	51
6.მონაკო	31	14	8	9	47-32	50
7.ლილი	31	12	12	7	39-36	48
8.ლანსი	31	13	8	10	48-40	47
9.ნანტი	31	13	7	11	40-34	46
10.ლიონი	31	12	11	8	44-40	46
11.მონპელიე	31	12	5	14	44-44	41
12.ბრესტი	31	10	9	12	39-45	39
13.რეიმსი	31	8	12	11	34-35	36
14.ანჟე	31	8	9	14	35-45	33
15.ტრუა	31	8	8	15	29-44	32
16.ლორიანი	31	7	10	14	31-50	31
17.კლერმონი	31	7	7	17	31-60	28
18.სტ.ეტიენი	31	6	9	16	33-61	27
19.ბორდო	31	5	11	15	41-71	26
20.მეცი	31	4	11	16	28-57	23

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ჰერენვენი-გრონინგენი 3:1
ვიტესი-კამბური 1:0
პსვ-ვალვაიკი 2:0
ერაკლესი-ფეინოორდი 1:4
ზვოლე-ალკმაარი 2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმონენშე-ფამილიკაო 1:0
სანტა კლარა-ეშტორილი 2:0
გიმარაეში-პორტუ 0:1
ვიზელა-ბრაგა 0:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ბრიუგე-მეხელენი 2:0
გენტი-ლეუვენი 5:0
კორტრაიკი-ანდერლეხტი 2:3
სტ.ტრუიდენი-სტანდარდი 3:0
სერენი-გენკი 0:2
შარლერუა-ზვოლე 3:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

კლაგენფურტი-ზალცბურგი 0:6
რაპიდი-ვოლფსბერგერი 2:1
შტურმი-აუსტრია 1:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.მირენი-რეინჯერსი 0:4

თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-გირესუნი 0:1
ადანა-ალთაი 3:1
სივასი-ბაშაქშეჰირი 0:2
ფენერბახჩე-გალათასარაი 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პანათინაიკოსი 0:0
აეკი-არისი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ციურიხი 1:0
ლუგანო-სიონი 1:3
სტ.გალენი-ბაზელი 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ჰრადეც კრალოვე 0:0
ბოლესლავი-ჩესკე 2:0
იაბლონეცი-ზლინი 1:1
სლავია-პარდუბიცე 4:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ვარტა-კრაკოვია 1:0
ვისლა-გურნიკი 4:1
ჩენსტოხოვა-სლასკი 1:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

მტკ-ფეჰერვარი 1:1
პაკში-უიპეშტი 1:3
უიპეშტის პირველი გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა
უიპეშტის მე-2 გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა

დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-ბრონდბიუ 3:0
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი 1:0
ნორდსიელანდი-ორხუსი 2:2
სონდერიისკე-ოდენსე 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

ვარბერგი-კალმარი 0:3
ჰელსინბორგი-გიოტებორგი 0:1
აიკი-ნორჩიოპინგი 1:0
მიალბი-დიურგარდენი 1:0

ნორვეგია. ელიტსერია

ვალერენგა-ჰაუგესუნდი 2:1
კრისტიანსუნდი-სარპსბორგი 2:3
რუსენბორგი-ოდი 1:0
სანდერფიორდი-ბოდო 1:2
სტრომგოდსეტი-მიოლდე 1:3
ტრომსო-ჰამკამი 2:1
ვიკინგი-ალესუნდი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯვროსვოოდი ბ

შვეულად: 1. აშშ-ის პრეზიდენტი; 2. რეგიონი კახეთში; 3. სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. უკიდურესი გადამწყვეტი მოქმედების მომხრე ადამიანი; 7. ხვლიკის მსგავსი ცხოველი, რომელიც კანის ფერს იცვლის გარემო პირობების შესაბამისად; 8. კოსმოდრომი რუსეთში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ნათურების წარმოებაში გამოყენებული ძნელად დნობადი ქიმიური ელემენტი, მეტალი; 16. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ერთ-ერთი კონტინენტი; 20. ბებერი თხა.

თარაზულად: 5. ვენესუელას დედაქალაქი; 6. საეკლესიო წესით ქორწინება; 9. შაქრის წარმოების ნარჩენი, სქელი შავი სითხე; 10. მცენარის ნორჩი ტოტი; 11. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 15. პოპულარული სამაგიდო თამაში; 18. მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი ძველად საქართველოში; 21. უკიდურესი გატაცება რაიმე საქმით, იდეით; 22. ნელი, ზომიერი მუსიკალური ტემპი; 23. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბერსეზი; 2. ჯაკო; 3. ჰეკლა; 4. ალგეთი; 6. ნუცუბიძე; 9. რეგატა; 13. როიტერი; 14. ვალონია; 15. მადერა; 17. სტუკო; 18. მამნე; 20. თული.

თარაზულად: 1. ბაჯაღლო; 5. ალენი; 7. ფერხული; 8. როკფორი; 10. ოკაცე; 11. ლაკმე; 12. ლოგიკა; 16. თავაძე; 17. სარმა; 19. იონი; 21. ჰეგელი; 22. ოკეანე; 23. დარიკი; 24. ჯაგერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იორდანე; 2. სადაფი; 3. ჭორიკანა; 4. ჯავახეთი; 7. ტაქსაფონი; 8. პავაროტი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. ბოჰემია; 17. არჩვაძე; 19. კუბა; 20. ჯანი.

თარაზულად: 5. პოტენცია; 6. აპოსტასია; 9. მადონა; 10. ფრანკი; 11. ზვარე; 13. ვოლგა; 15. საღამო; 18. ჯოისი; 21. ინანთეული; 22. მუშამბა; 23. იავნანა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0755

ევრო — 3.3544

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0105

100 რუსული რუბლი — 3.7861

ამინდის პროგნოზი 12 აპრილისათვის

პსჟ-ს მბაპეს შენარჩუნება სურს

პსჟ კვლავ ცდილობს, რომ კილიან მბაპე შეინარჩუნოს და მას ახალ კონტრაქტს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, მბაპეს ანაზღაურება წელიწადში 40 მილიონი ევრო იქნება.

მბაპემ რამდენჯერმე საკმაოდ არაერთგვაროვანი განცხადებები გააკეთა, რომლის მიხედვითაც ცხადი გახდა, რომ მას ჯერ თავისი მომავლის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

მბაპეს ყველაზე მეტად მადრიდის რეალს უკავშირებენ.

ხავი: „ძალიან რთული შეხვედრა მოვიგეთ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა ლევანტესთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ძალიან რთული შეხვედრა მოიგო და ის კმაყოფილია იმით, რომ მათ შეძლეს შედეგის მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ ლევანტემ მათ პრობლემები შეუქმნა:

– ლევანტემ მეორე ნახევარში მშვენიერი თამაში აჩვენა და ისინი სატურნირო ცხრილში უკეთეს ადგილს იმსახურებენ. მიხარია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, შევძელით მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება.

კლოპი: „ფრე სამართლიანი შედეგი იყო“

ლივერპულმა მანჩესტერ სიტისთან სტუმრად ფრე ითამაშა და საჩემპიონო ბრძოლაში ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერი არ არის, თუმცა, კლოპის აზრით, მის გუნდს კარგი შანსი აქვს, რომ ტიტული მოიგოს:

– ვიცი, რომ სიტი წინ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შეცდომას დაუშვებენ. ამ მატჩში მოგება შეგვეძლო, თუმცა ფრე სამართლიანი შედეგია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცი საკუთარი გასვენების მეორე დღეს სახლში დაბრუნდა

ინდოეთის ტამილნადის შტატის მცხოვრები მისი დასაფლავების მეორე დღეს სახლში დაბრუნდა.

55 წლის დღიური მუშა მურტი ქალაქ ტირიპურში გაემგზავრა შაქრის ლერწმის პლანტაციაში სამუშაოდ. რამდენიმე დღის განმავლობაში ის არც ახლობლებს დაკავშირებია და არც სახლში დაბრუნებულა. მალევე მისმა ერთ-ერთმა ნათესავმა ოჯახს აცნობა, რომ მამაკაცი ავტობუსის გაჩერების შორიახლოს გარდაცვლილი ნახეს. მურტის შვილმა მიცვალებულში მამა ამოიცნო.

პოლიციაში შემთხვევა დაარეგისტრირეს და ცხედარი ოჯახს გადასცეს. საკუთარი დასაფლავების მეორე დღეს მურტი მოულოდნელად სახლში ცოცხალი დაბრუნდა.

– საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით, როდესაც ის სახლში შემოვიდა, ყველანი გაოგნებულები დავრჩით, – ამტკიცებს მურტის ოჯახის ერთ-ერთი წევრი.

პოლიციამ გამოძიება დაიწყო მურტის მაგივრად დასაფლავებული პიროვნების ვინაობის დასადგენად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 აპრილისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** – მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** – სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** – გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** – გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** – საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რომანტიკის დასაწყებად. **სასწორი** – ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

შვილი მშობლებს ეუბნება:

– იცით, გივის მშობლები სწავლაში ფულს უხდიან.

– ეგ როგორ?

– როგორ და, თუ უმაღლეს შეფასებას მიიღებს, 100 ლარს აძლევენ, კარგი შეფასებისთვის – 50 ლარს, დამაკმაყოფილებლისთვის 50 ლარს ართმევენ, ხოლო ცუდი შეფასებისთვის – 100 ლარს.

– და მერე, ბევრი გამოიმუშავა გივიმ?

– ახლა ავტოსამრეცხაოში მუშაობს მშობლების ვალის გასასტუმრებლად.

•••

მამა ბავშვებს ეკითხება:

– აბა, ბავშვებო, ამ კვირაში ვინ იყო ყველაზე დამჯერი, ყველაზე ხშირად ვინ ახარებდა დედიკოს, ვინ არ ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი მიზეზით და ვინ აკეთებდა ყველაფერს რასაც კი დედიკო დაავალებდა?

– შენ, მამიკო!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, როდესაც სათევზაოდ ძველი, დანჯღრეული მანქანით მივდივარ, ირგვლივ სრული სიწყნარეა, თევზი ანკესზე შესანიშნავად მოდის, მაგრამ, საკმარისია, ჩემი ახალთახალი მერსედესით წავიდე, რომ იქაურობა მაშინვე გოგონებით ივსება, წყალში ხტებიან და ბანაობას იწყებენ.

– ეტყობა, ეგენიც თევზაობენ.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა ქენი, იშოვე სამსახური?

– კი, ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, ახალ ამბებს ვკითხულობ.

– იტყუები?

– რა ვქნა, ასეთი სამსახური მაქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლელა წურწუმიამ კონცერტი გადადო

მომღერალმა ლელა წურწუმიამ მომდევნო კვირას დაგეგმილი კონცერტი გადადო. ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა. 15 აპრილს მომღერალ ვარციხის მარანში შეკრებილი მსმენელისთვის უნდა ემღერა, თუმცა, კოვიდის დადასტურების გამო, ლელა საავადმყოფოში აღმოჩნდა. ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც მომღერალს კოვიდი დაუდასტურდა და მას საავადმყოფოში მკურნალობენ.

კახა მამულაშვილი, მამულიჩა – ლელა წურწუმიას პროდიუსერი:

– სამწუხაროდ, ლელასთან მოვიდა, ყველას რომ წასული ეგონა, კოვიდი. 15 აპრილს დანიშნული კონცერტი 30 აპრილს ჩატარდება.

პაპუნა შარიქაძე: „რუსეთში არასდროს ვყოფილვარ“

მუსიკოსი პაპუნა შარიქაძე პასუხობს ყველა ცნობისმოყვარეს იმის შესახებ, დაუკრავს თუ არა რუსეთში:

– ბოლო პერიოდში, ეჭვებმა იმის შესახებ, წავსულვარ და დამიკრავს თუ არა რუსეთში, საგრძნობლად მოიმატა. მინდა აქვე გავაქრო ყველანაირი კითხვის ნიშანი და პირველად ვთქვა ასეთი ფორმით, „ხმამაღლა“, რომ რუსეთში არასდროს ვყოფილვარ.

13 წლის ვიყავი, როცა პირველად დავფიქრდი, ამ მხრივ რა პოზიცია უნდა ამერჩია, საით დავმდგარიყავი, როგორც ქართველი და მერე, როგორც მუსიკოსი. მაშინ დავუდე ჩემ თავს პირობა, რომ ჩრდილოელი მეზობლისკენ არ გავიხედავ მანამ, სანამ ჩვენ შორის ისეთი გეოპოლიტიკური ცვლილებები არ მოხდება, რომ ამ ამბავზე ხელახლა დაფიქრების საბაბი გამიჩნდეს.

ასევე, გამიმართლა და ბედნიერი ვარ, რომ იმ პერიოდში, გარდა ოჯახის წევრებისა, ჩემ გარშემო უკვე იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორიცაა ზურა რამიშვილი, ბექა გოჩიაშვილი, ნიკა რურუა, თამაზ ყურაშვილი, ბებე ლორთქიფანიძე და კიდევ ბევრი, ვინც მაგალითი მომცა და ფასეულობების სწორად დალაგებაში ხელი შემიწყო. ამ ხალხს ჩემგან ყველაზე დიდი მადლობა ეკუთვნის.

ნინო ქათამაძემ უკრაინელების დასახმარებლად ფონდი შექმნა

მომღერალმა ნინო ქათამაძემ უკრაინელების დასახმარებლად საქველმოქმედო ფონდი შექმნა. ხელოვანი თავის კოლეგებთან ერთად ატარებს საღამოებს და შეგროვილი თანხით უკრაინაში დარჩენილ მოქალაქეებს ეხმარება.

ნინო ქათამაძე უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული საომარი მოქმედებების დღიდან აქტიურად არის ჩართული უკრაინელი ხალხის მხარდაჭერასა და დახმარებაში. ნინო ინტერნეტში სისტემატურად ავრცელებს ინფორმაციებს, რომელიც რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ.

გოჩა კაპანაძე რუსთაველის თეატრში პრემიერისთვის ემზადება

ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობებთან ერთად პრემიერისთვის ემზადება.

სულ მალე მაყურებელი თეატრის მცირე სცენაზე იხილავს ახალ წარმოდგენას, რომელიც გიორგი ერისთავის „ძუნწის“ მიხედვით იდგმება.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ ლელა ალიბეგაშვილი, ნინო არსენიშვილი, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღაღანიძე, ქეთევან სვანიძე, დავით უფლისაშვილი და ლევან ხურცია.



„ერისიონის“ მომღერლებმა უკრაინელ წყვილს სიურპრიზი მოუწყვეს

უკრაინელი წყვილი იგორი და ტატიანა რამაზ ბლუაშვილმა „ერისიონის“ ანსამბლს შეახვედრა. უკრაინული წყვილისთვის, რომელიც უკვე 1 თვეა საქართველოში ცხოვრობს, ანსამბლის მომღერლებმა ექსპრომტად უკრაინის ჰიმნი შეასრულეს და სტუმრები აატირეს.

ემოციური სიურპრიზის ამსახველი ვიდეო რამაზ ბლუაშვილმა სოციალურ ქსელში გააზიარა და ათასობით მომხმარებლის მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.



„ევროვიზია 2022“-ზე საქართველო მეორე ნახევარფინალში წარდგება

„ევროვიზია 2022“-ს წელს იტალია უმასპინძლებს. ქალაქ ტურინში ევროფესტივალი 10, 12 და 14 მაისს გაიმართება.

საქართველოს წელს ამ კონკურსზე ჯგუფი „სირკუს მირკუს“ წარადგენს სიმღერით „ლუქ მი ინ“. საკონკურსო სიმღერაზე ოფიციალური ვიდეორგოლი უკვე გადაღებულია და ევროვიზიის ოფიციალურ იუთუბ არხზეა განთავსებული.

კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ „ევროვიზია 2022“-ზე საქართველო კონკურსის მეორე ნახევარფინალში, 12 მაისს, მე-5 ნომრად იმღერებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უკიდურესი თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტაცება; 2. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში; 3. გერმანიის კანცლერი; 4. მოკლე, გონებამახვილური ხალხური გამონათქვამი; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 15. ზიმბაბვეს დედაქალაქი; 17. შრომის სადიდებელი ქართული ხალხური სიმღერა; 18. რეგულარული შემოსავალი უძრავი ქონებიდან; 20. მატყლის სართავი პრიმიტიული ხელსაწყო.

თარაზულად: 1. გუტაპერჩის შემცველი სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 5. ლუთერანული ეკლესია; 7. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 8. შაქრის შემცველი დიაბეტით დაავადებულთათვის; 10. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 11. მრავალსიმიანი ბერძნული მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. კუთხე საქართველოში; 16. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 17. მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელებული კალენდარი; 19. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 21. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 22. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 23. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული დებულებანი; 24. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა